საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 12 (32) | პარასკევი, 18 იანვარი, 1991 წ. | ფასი 10 კაპიკი

მიტინგი მთავრობის სახლთან

„მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური გაერთიანების ინიციატივით 17 იანვარს თბილისში მთავრობის სახლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მოლოდინაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები ვიქტორ დომუხოვსკი, მღვდელი მამა არჩილი, კონსტრუქტორი ვიოლეტა ალბოროვა და სხვები, რომლებმაც თქვეს, რომ უნდა შეწყდეს სისხლისღვრა სამაჩაბლოში, მკვეთრად დაგმეს ოსი ექსტრემისტების, ცენტრში მოკალათებული მათი წამქეზებლებისა და მფარველების მოქმედება, სოლიდარობა გამოუცხადეს ლიტველ, ლატვიელ და ესტონელ ხალხებს.

მოიწონეს წინადადება, რომ შეიქმნას ქართველი, ოსი, სომეხი, რუსი მოსახლეობის წარმომადგენელთა ჯგუფი, რათა ისინი შეხვდნენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნიშანოვს, რომელიც თბილისში ჩამოვიდა. მას უნდა გამოუცხადონ მტკიცე პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში მოსკოვის უხეში ჩარევის და შიდა ქართლში მიმდინარე ამბების ტენდენციური, არაობიექტური გაშუქების გამო.

არის უმაღლესი სამსჯავრო, რომელიც ყველას თავისას მიუზღავს, აღნიშნა მიტინგზე გამოსვლისას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. ამის კიდევ ერთი დასტურია მოვლენათა განვითარება წუხელ აგრესორი ერაყის მიმართ, რომელმაც ავაზაკურად დაიპყრო ქუვეითი. დაე, ეს ახსოვდეს ყველას, ვინც ანექსიისა და სხვა ხალხების ჩაგვრის პოლიტიკას ადგას. დაუბრუნდა რა სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების საკითხს, ორატორმა საქართველოს მილიციის მოქმედებაში გარკვეული თავშეკავება ახსნა მისი ჰუმანურობით, იმით, რომ მას არ სურს გამოიწვიოს სისხლისღვრა ადგილობრივ, მათ შორის ოს მოსახლეობაშიც, რითაც ასე უსინდისოდ სარგებლობენ ექსტრემისტები, ყოველნაირად რომ ამწვავებენ დაძაბულობას. მაგრამ მათი ავბედითი გეგმები, რომელთა მიზანია რესპუბლიკის პოლიტიკური რუკის შეცვლა, უსაფუძვლო, უტოპიურია და ამას უბრალოდ არ დაუშვებენ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

მიტინგი გვიან საღამომდე გაგრძელდა.

საქინფორმი

ხელისუფლების დერეფნებში

საქართველოს უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გასული წლის დეკემბერში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ქართულ ფეხბურთში რეფორმების გატარების შესახებ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტმა უკანონოდ მიიჩნია პრეზიდიუმის ეს გადაწყვეტილება, რადგან ის არღვევდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძირითად საკანონმდებლო აქტს — ეროვნული ჩემპიონატის საშეჯიბრებო დებულებას.

იმის გამო, რომ პრეზიდიუმმა უგულებელყო საექსპერტო კომიტეტის მრავალგზისი მითითება დებულების დაცვის შესახებ, საექსპერტო კომიტეტმა განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

გუშინწინ უზენაესი საბჭოს განათლების, კულტურის, მეცნიერების და ჰუმანიტარულ, სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიებმა ერთობლივ სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტის განცხადება. სხდომამ ერთხმად დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული სფფ-ის საექსპერტო კომიტეტის წევრთა განცხადება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ სფფ-ის პრეზიდიუმმა დაარღვია საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების მეოთხე თავის მეხუთე მუხლი.
3. დაევალოს სფფ-ს პრეზიდენტსა და პრეზიდიუმს დაიცვან დებულება და არ დაუშვან მისი დარღვევა.
4. სფფ-ს პრეზიდიუმმა წერილობით აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ზემოხსენებული დადგენილების შესრულება.

უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში ჩვენში, სამწუხაროდ, კანონის უზენაესობის პრინციპი ფეხქვეშ ითელებოდა. როგორც ჩანს, კანონის დარღვევის ტენდენცია საქართველოში დღესაც ჰყავს მომხრეები. სწორედ მათ გვინდა შევახსენოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ყველასაგან უკლებლივ, პრინციპულად მოითხოვს კანონის უზენაესობის დაცვას.

საქინფორმი

მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

თბილისის რუსთაველის მოედანი-მთაწმინდის საჰაერო ბაგირგზაზე 1990 წლის 1 ივნისს მომხდარ ავარიასთან დაკავშირებული საკითხები იდგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ნომერ პირველ საკითხად. ამ საკითხებს ორ საათზე მეტ ხანს იხილავდნენ. მაშინ შექმნილი მთავრობის კომისიის ერთ-ერთი წევრის— რესპუბლიკის მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ კვერნაძის მოხსენების თანახმად, კომისიამ გამოავლინა ბაგირგზის ექსპლოატაციის პროცესში დაშვებული მთელი რიგი დარღვევები, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე ავარიის კონკრეტული მიზეზის შესახებ, რომლის შედეგად დაიღუპა 19 და მძიმედ დაშავდა 43 კაცი, მას არ მიუცია. დიახ, გაწყდა საწევი ბაგირი, დიახ, ვერ იმოქმედა ვაგონების სამუხრუჭე მოწყობილობამ. მაგრამ მთავარი მიზეზი ჯერჯერობით ცხადი არ არის, რადგან, მთელ ტრასაზე გულდასმით ძიების მიუხედავად, ვერ იპოვეს ქუროს მხრიდან გამწყდარი ბაგირის ბოლო და შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ავარიის მიზეზთა გახსნისათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ის კი, რომ საწევი ბაგირი დაზიანებული იყო, საექსპერტო კომისიამ დაადგინა.

მთავრობის წევრებმა კომისიას სერიოზულად უსაყვედურეს მუშაობის გაჭიანურება. ავარიამ თბილისის ბაგირგზაზე, აღინიშნა სხდომაზე, ფართო რეზონანსი გამოიწვია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ამიტომ კომისიის ესოდენ დიდი ხნის (ნახევარ წელზე მეტი) დუმილი შეიძლება მივიჩნიოთ იმად, რომ არ სურთ სიმართლე უთხრან ადამიანებს. კომისიამ მოიყვანა ობიექტური მიზეზები, რომლებიც აფერხებდნენ მის მუშაობას, მაგრამ ისინი მხედველობაში არ მიუღიათ.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს ამ სხდომაზე უნდა დაემტკიცებინა რესპუბლიკაში შექმნილი რამდენიმე ასოციაციის წესდებები, მაგრამ ეს არ მომხდარა, რადგან მათში, სხდომის მონაწილეთა აზრით, არის მთელი რიგი დებულებანი, რომლებიც არ შეესაბამება ამ ასოციაციათა დანიშნულებას. მაგალითად, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედებისა და მარტოხელა ინვალიდების საქველმოქმედო ასოციაცია „თანადგომის" წესდებაში ჩაწერილია, რომ მას უფლება აქვს „შექმნას სხვადასხვა ფირმები, კონცერნები... სადაზღვევო, იურიდიული, ეკონომიკური, კინო-ვიდეო-სარეკლამო, სააქციო საზოგადოებები" და ა. შ.

გამოითქვა წინადადება, რომ თითოეული ასოციაცია ან საზოგადოება უფრო სერიოზულად ეკიდებოდეს თავის პირდაპირ მოვალეობებს, და არა კომერციულ საქმიანობას, რაც მკაფიოდ და ზუსტად უნდა აისახოს წესდებაში. სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებთანაც იქმნება ესა თუ ის ასოციაცია, ან რომლებიც მათი დამფუძნებლები არიან, წინადადება მიეცათ ზუსტად დაიცვან დებულება. იუსტიციის სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოს შესაბამის ქვეგანაყოფებს დაევალათ შეიმუშაონ ასოციაციის სანიმუშო წესდება, რომელსაც დაემატება სხვადასხვა სპეციფიკური დებულება ამა თუ იმ ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, გადაწყდა რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგი საკითხები.

(საქინფორმი)

ბალტიის ქვეყნები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მის აღმატებულებას ბატონ ხავიერ პერეს დე კუელარს!

გამოვხატავ რა ქართველი ხალხის ნებას, მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ შეხედულებებსა და პოზიციას, რაც გამოხატული იყო ბალტიის რესპუბლიკების და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეთა 1991 წლის 13 იანვრის მიმართვაში.

შესაბამისად ამისა მომეცით უფლება, თქვენო აღმატებულებავ, ვითვლებოდე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტის კიდევ ერთ ხელმომწერად.

ღრმა პატივისცემით
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზვიად გამსახურდია

რა იქნება?

ტალინი, 16 იანვარი. 16 იანვრისათვის დანიშნული ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს მოლაპარაკება რუსულენოვან კოალიციურ ჯგუფთან, რომელიც ესტონეთის ტერიტორიაზე მოქმედებს, გაიმართა... მაგრამ მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას. კოალიციონისტებმა ესტონეთის ორგანიზაციებში განსახილველ ამა თუ იმ განცხადებაზე პასუხის მიღების (ვადა — 10 დღე). რეგლამენტის შესახებ რესპუბლიკაში მოქმედი წესის საწინააღმდეგოდ კვლავ ულტიმატუმურად განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ დაიწყონ მტკიცე მოქმედება ყველა არსებული საშუალების გამოყენებით. ამჟამად (13 საათსა და 52 წუთზე ესტონეთის დროით) ესტონეთის დედაქალაქსა და რესპუბლიკის რეგიონებში არ მომხდარა არავითარი ანტისაზოგადოებრივი მოქმედება.

თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

პოდპოლკოვნიკი ტარხანოვი გამოგვეცხადა

ვილნიუსი, 17 იანვარი. დღეს, ლიტვის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ეწვია ვლადიმერ ივანეს ძე ტარხანოვი. სწორედ ის პოდპოლკოვნიკი ტარხანოვი, რომელზეც გუშინ ილაპარაკა სსრ კავშირის ცენტრალურმა სატელევიზიო პროგრამა „ვრემიამ". როგორც ვიცით, „ვრემიამ" განაცხადა, რომ ასეთი პოდპოლკოვნიკი არ ირიცხება ვილნიუსის გარნიზონის პირადი შემადგენლობის სიებში. და მაშასადამე, მას არ შეეძლო ლიტვის რადიოთი ეთხოვა საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის არ გამოეყენებინათ იარაღი მშვიდობიანი, უიარაღო მოსახლეობის წინააღმდეგ.

„აი ჩემი საბუთები —ლიტვის პარლამენტის დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას მან დაადასტურა, რომ მსახურობს ვილნიუსის გარნიზონში. — მაგრამ მე არ ვემორჩილები ვილნიუსის გარნიზონის უფროსს გენერალ-მაიორ უსხოპჩიკს". ტარხანოვმა დაადასტურა, რომ ტექსტი, რომელიც გუშინ წაიკითხეს რადიოთი, მის მიერ არის დაწერილი. „ეს დამაწერინა ვილნიუსში კვირას მომხდარმა სისხლიანმა ამბებმა. მე არ მომიწოდებია ელალატათ ფიცისათვის. მე მოვუწოდებ არ იომონ მშვიდობიანი, უიარაღო ხალხის წინააღმდეგ", — დაასრულა თავისი გამოსვლა ლიტვის პარლამენტში პოდპოლკოვნიკმა ტარხანოვმა.

ერთი ტკივილი, ერთი უბედურება

წუთიერი სამგლოვიარო დუმილით აღინიშნა ვილნიუსში ტრაგიკულად დაღუპულ პატრიოტთა ხსოვნა ლიტვის თავისუფლებისთვის მებრძოლებთან სოლიდარობის ხალხმრავალმა მიტინგმა, რომელიც საღამოს სოხუმის ზღვისპირა მოედანზე გაიმართა. იგი მოაწყვეს საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ და ილია მართლის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ. სოხუმელებთან ერთად საღამოს ბინდბუნდში ანთებული სანთლები ეჭირათ ხელში აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების მრავალი შრომითი კოლექტივის წარმომადგენლებს.

მრავალტანჯულ ბალტიისპირეთის რესპუბლიკაში მომხდარი სისხლიანი ამბებით შეძრწუნებული მიტინგის მონაწილეთა ფიქრები და გრძნობები კარგად გადმოსცეს სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანემ ტარასი გოჩალეიშვილმა, თამბაქოს ფაბრიკის მუშამ ალა ერმოლოვსკაიამ, ცნობილმა ქართველმა პოეტმა გენო კალანდიამ, სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის" აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელმა აკაკი კასლიანმა.

— ჩვენ მარტო როდი ვართ სამართლიან ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, — თქვა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის მსახიობმა დიმიტრი ჯაიანმა. — მოსკოვში, ჩვენი თეატრის ამასწინანდელი გასტროლების დროს დავრწმუნდით, რომ ჩვენ მხარს გვიჭერს პროგრესულად განწყობილი რუსი ინტელიგენცია.

ლიტვას თავს დაატყდა საქართველოს ტრაგიკული ბედი — გამეორდა თბილისის 1989 წლის აპრილი, — აღნიშნეს ორატორებმა. — დღეს ჩვენ საერთო ტკივილი და უბედურება გვაქვს. ამიტომ — საჭიროა საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის წარმომადგენელმა გააერთიანოს ძალისხმევა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებულ წმიდათაწმიდა ბრძოლაში.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი აცხადებენ, რომ ისინი სავსებით და მთლიანად უჭერენ მხარს ლიტველ პატრიოტთა სამართლიან ბრძოლას და მოითხოვენ დაუყოვნებლივ გაიყვანონ რესპუბლიკის ტერიტორიიდან ჯარები, მისცენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას კანონიერი შესაძლებლობა დამოუკიდებლად გადაჭრას თავისი საშინაო პრობლემები.

თენგიზ ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

ლიტვის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს

ქართველი მეცნიერები მთელ ქართველ ხალხთან ერთად შეძრწუნებული არიან ლიტვაში მომხდარი ტრაგიკული მოვლენებით და გულწრფელად განიცდიან ლიტველი ხალხის უბედურებას. ჩვენ მთლიანად ვგმობთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივ მოქმედებას სუვერენული ლიტვის წინააღმდეგ. გვჯერა ლიტველი ხალხის სულის სიმტკიცისა, მხარს ვუჭერთ მის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

ლატვიელ ჟურნალისტთა წერილი

ძვირფასო კოლეგებო!

ლატვიის ჟურნალისტები დიდ მადლობას გიძღვნით ყველა დემოკრატიულ გამოცემას, რადიო და ტელეპროგრამებს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხთან სოლიდარობისათვის, რომლებიც იბრძვიან რეაქციული, დიქტატურისაკენ მიმსწრაფი ძალების ძალმომრეობის წინააღმდეგ. თქვენი წყალობით ჩაიშალა ბალტიისპირეთში მოვლენათა საინფორმაციო ბლოკის ორგანიზების ცდები.

მაგრამ გულისტკივილით და დიდი პროტესტის გრძნობით ვკითხულობდით, ვუსმენდით და ვუყურებდით აგრეთვე სიმართლესმოკლებულ, ტენდენციურ სტატიებსა და გადაცემებს ლიტვაში მომხდარი ტრაგედიისა და ლატვიასა და ესტონეთში მომავალი კატასტროფის შესახებ. აღშფოთების გარდა ვერაფერს ვერ გამოიწვევს ცენტრალური ტელევიზიის ეგრეთ წოდებული საინფორმაციო პროგრამის „ვრემიას" პოზიცია და „600 წამის" პირდაპირი პროვოკაციული ნაყალბევი. ასეთი და ამგვარი გადაცემები და პუბლიკაციები იწვევს მხოლოდ ვითარების გამწვავებას და შემდგომი სისხლისღვრის პირდაპირ საფრთხეს. ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, ძვირფასო კოლეგებო, გააერთიანოთ მთელი ძალისხმევა რეაქციის ძალების სიცრუისა და პროვოკაციების მხილებისათვის, რომლებიც ყველაფრისათვის მზად არიან. ჩვენ გიწვევთ თქვენ — ჩამობრძანდით, ადგილზე გაეცანით მოვლენათა რეალურ მსვლელობას, გაესაუბრეთ ადამიანებს და ერთხელ კიდევ თვითონ დარწმუნდებით, თუ ვის მხარეზეა სიმართლე.

ლატვიის ჟურნალისტთა კავშირი

ეხმაურებიან ლიტვის ამბებს

დღეს პრაღაში გაიხსნა ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კრების რიგგარეშე სესია. დეპუტატები განიხილავენ ლიტვასა და ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებში შექმნილ სიტუაციას.

დღის წესრიგის ორივე პუნქტის გამო ინფორმაცია გააკეთა ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ირჟი დინსტბირმა. მან პარლამენტარებს გააცნო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილი ვითარება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიტვაში მიმდინარე ამბების მიმართ ჩეხეთ-სლოვაკეთის ოფიციალური პოზიცია დიდად მოიწონეს სსრ კავშირის დემოკრატიულმა ძალებმა.

ფინეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მარკუს აალტონენმა დღეს გაზეთ „სუომენმააში" რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვ. ლანდსბერგისის პოზიციის გამო.

„ლანდსბერგისმა, — აღნიშნავს აალტონენი, — ზოგიერთი თავისი მოქმედებით და მკაცრი განცხადებებით გააძნელა ლიტვასა და მოსკოვს შორის მოლაპარაკების შესაძლებლობა".

შეეხო რა ლიტვის მთავრობის მეთაურის პოსტიდან კ. პრუნსკიენეს გადადგომას, ფინელმა პარლამენტარმა აღნიშნა, რომ ამის ნამდვილი მიზეზი იყო პოლიტიკური უთანხმოებანი ლანდსბერგისთან, თუმცა ოფიციალურად გამოცხადდა, თითქოს ასეთი ნაბიჯის უშუალო საბაბი ყოფილიყოს რესპუბლიკაში საცალო ფასების მომატების გამო უკმაყოფილება.

ბალტიისპირეთის მდგომარეობა საფრთხეს არ უქმნის ფინეთის უშიშროებას, და ქვეყნის თავდაცვითი ძალების საბრძოლო მზადყოფნა ამასთან დაკავშირებით არ გაზრდილა, — განაცხადა ფინეთის თავდაცვის მინისტრმა ელიზაბეტ რენმა, როცა ეწვია ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ერთ-ერთ ქვეგანაყოფს, იუწყება დღის გაზეთი „ტურუნ სანომატი".

ჩვენს დიდ სინანულს იწვევს ლიტვაში მომხდარი ამბავი, მოჰყავს გაზეთს რენის სიტყვები, როცა მეზობლებთან სიძნელეები და პრობლემებია, ეს ყოველთვის აშფოთებთ ახლომდებარე ქვეყნებს, და ესეც მხედველობაში უნდა მივიღოთ. მაგრამ ლიტვის ამბების მთელი ტრაგიზმის მიუხედავად, ეს ამბები უშუალოდ არ ეხება ფინეთის თავდაცვითს ძალებს. ეს საგარეო-პოლიტიკური საკითხი და მთელი მთავრობის საქმეა, რომელსაც ჯერჯერობით არ მიაჩნია, რომ საჭირო იყოს ჩვენი ჯარების საბრძოლოდ მომზადება.

ვიმედოვნებთ, რომ ბალტიისპირეთის მდგომარეობა სტაბილური გახდება, თქვა შემდეგ თავდაცვის მინისტრმა. მე მჯერა სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისა, როცა იგი ამბობს, რომ ძალმომრეობა იქ შეჩერებულია, განაცხადა რენმა.

ფინეთის მრავალ ქალაქში სამშაბათს საღამოს გაიმართა დემონსტრაციები და წირვა-ლოცვა ბალტიისპირეთში მშვიდობის დასაცავად.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა დუგლას ჰოგმა სამშაბათს ლონდონში მიიღო ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ალგირდას საუდარგასი. როგორც ბი-ბი-სის ტელეკომპანია იუწყება, ლიტვის წარმომადგენელი აპირებს მიაღწიოს, რომ ლონდონმა მხარი დაუჭიროს სსრ კავშირისაგან გამოყოფის ლიტვის ახლანდელი ხელმძღვანელობის კურსს.

შეხვედრის დროს, რომელმაც 45 წუთს გასტანა, დ. ჰოგმა დაადასტურა დიდი ბრიტანეთის მკაცრი მიდგომა ვილნიუსში არმიის ქვეგანაყოფების მოქმედების შეფასებისადმი და ლიტვის მთავრობის წარმომადგენელს აღუთქვა, რომ სპარსეთის ყურის რაიონში კრიზისის მიუხედავად, ბრიტანეთის მთავრობა კვლავ ყურადღებით ადევნებს თვალს ლიტვაში ამბების განვითარებას. როგორც ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო პრეს ასოშიეიშნი იუწყება, უაიტჰოლი აპირებს მიაღწიოს საბჭოთა კავშირთან ევროპის გაერთიანების თანამშრომლობის გაყინვას, თუ ლიტვაში ახლანდელი სიტუაცია შეინარჩუნეს ან ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებზეც გაავრცელეს.

ნიდერლანდის პარლამენტში გაიმართა კამათი ბალტიისპირეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ვან დენ ბრუკი. ჰოლანდიის პარლამენტარებმა ვილნიუსში სამხედროთა მოქმედებას „სრულიად მიუღებელი" უწოდეს, მაგრამ მართებულად მიაჩნიათ ევროპის გაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების წინათ მიღებული გადაწყვეტილება არ განახორციელონ ახლა არავითარი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დეპუტატებს აცნობეს, რომ ევროპის გაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებმა გაითვალისწინეს „მათი მისამართით მიღებული სიგნალები", რომლებიც მოწმობენ ლიტვაში სამხედრო ხელისუფალთა მოქმედების დამოუკიდებელ ხასიათს. წინააღმდეგ შემთხვევაში მ. ს. გორბაჩოვი, აღინიშნა კამათის დროს, „შეეცდებოდა ყველაფერი ეღონა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილი სიტუაციის პოლიტიკური გადაჭრის მშვიდობიანი გზების ძიებისათვის".

ჰ. ვან დენ ბრუკმა თავის გამოსვლაში თქვა, მ. ს. გორბაჩოვმა გადადგა ნაბიჯები იმისათვის, რომ მომავალში თავიდან აიცილოს ისეთი ამბების განმეორება, რომლებიც მოხდა ვილნიუსში. შექმნილ ვითარებაში, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სანქციების მიღებამ შეიძლება „უკუეფექტი" გამოიწვიოსო.

(საკდესი, 16 იანვარი).

რედაქციისაგან: როგორც ლატვიაში და ესტონეთში მომხდარმა ბოლო ამბებმა დაგვარწმუნა, გორბაჩოვს არავითარი ნაბიჯები არ გადაუდგია იმისთვის, რომ მომავალში თავიდან აეცილებინა ლიტვაში მომხდარი ამბავი.

შიდა ქართლი

საპროტესტო აქცია

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებამ უკიდურესად დაძაბა ვითარება მთელ საქართველოში. მას მძლავრი საპროტესტო ტალღა მოჰყვა: მთელი საქართველო მკვეთრად უარყოფითს დამოკიდებულებას გამოხატავს ამ უკანონო, იმპერიული ამბიციურობითა და ქედმაღლობით შექმნილი დოკუმენტისადმი. საოცარი ფაქტია: პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ თავად ოსი ეროვნების მოქალაქენი. მათ შიმშილობა გამოაცხადეს გორში, ქარელში...

9 იანვრიდან საქართველოს მწერალთა სასახლეში სასიკვდილოდ შიმშილობს ახალგაზრდა ქართველი პოეტი ბადრი გუგუშვილი, მან საპროტესტო წერილი გაუგზავნა პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს, რომელშიც ითხოვს:

1. გაუქმდეს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან ქართული მილიციის ქვეგანაყოფების გამოყვანის შესახებ;
2. შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსი ექსტრემისტების მხრიდან შეწყდეს ინსპირირებული ტერორი იქ მცხოვრები ქართველებისა და ოსების წინააღმდეგ;
3. საბჭოთა კავშირის მთავრობამ შეწყვიტოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა. არავითარ შემთხვევაში არ შემოიყვანონ საქართველოში საბჭოთა არმიის დამატებითი ნაწილები;
4. შეწყდეს საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ძალით გაწვევა საბჭოთა კავშირის საოკუპაციო არმიაში.

ასეთია ბადრი გუგუშვილის მოთხოვნები. მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა და ექიმები სისტემატურად ზედამხედველობენ. მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეექმნა.

საქინფორმი.

შიმშილობა მოსკოვში

მოსკოვი, 16 იანვარი (საქინფორმის სპეც. კორ. მარინე რონდელი). 10 იანვრიდან 43 კაცი განაგრძობს საპროტესტო შიმშილობას საქართველოს რესპუბლიკის მოსკოვის მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში. ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო ხუთმა კაცმა შეწყვიტა აქცია, ერთი მათგანი ჰოსპიტალიზებულია. ისინი მოითხოვენ შეაჩერონ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება, დაგმონ კრემლის ხრიკები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ დიქტატი ყველა რესპუბლიკების მიმართ.

მოშიმშილეთა შორის არიან ქართველი, ოსი და ქურთი ეროვნების წარმომადგენლები, ესენი არიან ექიმები, მუშები, მეცნიერები და დიასახლისები, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორი წევრი.

— სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც არ ცნობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის იურიდიულ ძალას, ანტიკონსტიტუციურია. საქართველოში უმაღლეს ხელისუფლებას ახორციელებს ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭო, და ჩვენ არ დავუშვებთ უხეშ ჩარევას სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა ზაურ ქობალიამ.

— დღეს სსრ კავშირში დიქტატურის აშკარა შეტევა შეიმჩნევა — თქვა მან შემდეგ. — გორბაჩოვის მოჩვენებითმა „დემოკრატიამ" მთელ მსოფლიოს უჩვენა თავისი სახე ლიტვის ქუჩებში დაღვრილი სისხლით. ვგლოვობთ და სოლიდარობას ვუცხადებთ ლიტველ ხალხს. სწორედ დღეს მთელი ქვეყნის დემოკრატიული ძალები უნდა გაერთიანდნენ ცენტრის ძალისხმიერი ზეგავლენის წინააღმდეგ.

ჩვენ შეგნებულად შევარჩიეთ შიმშილობის ადგილად მოსკოვი, რადგან სწორედ კრემლი ცდილობს შეიტანოს დესტაბილიზაცია იმ რესპუბლიკებში, სადაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ დემოკრატიული ძალები.

ოს თინა ბესთაევას მიაჩნია, რომ ვიღაც წარმართავს ოსი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სეპარატიზმს, აქეზებს მათ მოქმედებისათვის, რომლის მიზანია ოსი ხალხის ტრადიციული მეგობრობის დარღვევა.

— მოვითხოვთ, თავი გაგვანებონ, — თქვა მან. — შეგვიძლია თავადვე გავერკვეთ შინაურ პრობლემებში. იმ დღეზე ვოცნებობ, როცა ჩემი საქართველო ძლიერი და აყვავებული იქნება, სადაც წინანდებურად სიამტკბილობით იცხოვრებენ ათობით ეროვნების ადამიანები.

საკუთარ სახლში

თუ არჩევანი სწორად გაკეთდა

ბავშვის დაბადებით გამოწვეული სიხარული კარგად ნაცნობი ადამიანური განცდაა. დღეს კი, ასკეცდება ეს გრძნობა, რადგან თითოეული ქართველის ამ ქვეყნად მოვლენა ერის სიძლიერის საწინდარია.

სწორედ ამიტომ დავინტერესდით იმ დაწესებულებათა საქმიანობით, სადაც სიცოცხლე იწყება, ქვეყნის მომავალი იბადება.

სამისოდ კი თბილისის № 2 სამშობიარო სახლი შევარჩიეთ, რომელიც დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე (ყოფილი კამოს ქ.) მდებარეობს. ეს შენობა 1938 წელს აშენდა და თავიდან 80 საწოლზე იყო გათვალისწინებული. უცნაურია, მაგრამ ამჟამად იგივე ფართში მოთავსებულია 230 საწოლი. ამის გამო თითოეულ საწოლზე ნორმით გათვალისწინებული 6-7 კვადრატული მეტრის ნაცვლად 2 კვადრატული მეტრი ფართობი მოდის.

ჩვენთან საუბრისას პირველ მეანოგინეთა განყოფილების გამგემ თინა დოლიძემ თქვა:

— ვინაიდან ჩვენი სახლი გულსისხლძარღვთა დაავადების პროფილირებული სამშობიაროა, სასურველია, პალატები იყოს 2-3 საწოლიანი. ჰქონდეს ერთი სველი წერტილი. გვაქვს პატარა სამანიპულაციო ოთახი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ავადმყოფთა იმ მოთხოვნებს, რაც საჭიროა ამ განყოფილებაში მყოფ 73 პირზე.

ადრე, გულსისხლძარღვით დაავადებულ ორსულთა მშობიარობა დაუშვებელი იყო. მას უნდა შეწყვიტა ორსულობა. ამჟამად ეს დასაშვებია (ზოგიერთი მძიმე მანკის გამონაკლისით), რადგან ორსული 9 თვის განმავლობაში 3-ჯერ თავსდება სამშობიაროში პროფილაქტიკური მკურნალობის ჩასატარებლად. ესე იგი მზადდება მშობიარობისათვის. ხოლო მშობიარობამდე ორი კვირით ადრე იგი კვლავ წვება სამშობიაროში, ამ დროს მას უტარდება როგორც პროფილაქტიკური მკურნალობა, ისე ფსიქოთერაპია. ქალი მშობიარობს გაუტკივარების ფონზე კარდიოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ.

საუბარში ერთვება მთავარი ექიმი იულო იაშვილი:

— აღსანიშნავია ისიც, რომ გინეკოლოგიური და სამეანო საოპერაციოები, აგრეთვე სამშობიარო ბლოკები თითო-თითო გვაქვს, რის გამოც ვერ ხერხდება ციკლურობის დაცვა, ხოლო ორსულთა პათოლოგიის ობსერვატორიულ განყოფილებებს ფართის უქონლობის გამო საერთოდ არ გააჩნიათ საოპერაციო ბლოკები, რაც ყოვლად დაუშვებელია.

როცა სამშობიარო სახლის პალატები დავიარეთ, გაგვაოცა იქ გამეფებულმა სისუფთავემ, სიმშვიდემ. მშობიარეთათვის აქ ყველა აუცილებელი პირობაა შექმნილი, ის კი არა, ოთახებში შიდა ტელეფონიც კი აქვთ. თვით პაციენტებმა კმაყოფილება გამოთქვეს. თუმცა ეგ არის, მეტისმეტი სივიწროვე ხშირად უხერხულობას ქმნის, აღნიშნეს მათ.

არადა, როგორც შემდეგ გავიგეთ, იქვე, სამშობიარო სახლის მეზობლად თავისუფლდება შენობა, რომელშიც ტრავმატოლოგიური საავადმყოფო იყო მოთავსებული. კაცმა რომ თქვას, მისი № 2 სამშობიარო სახლისათვის გადაცემა ჩინებული გამოსავალი იქნებოდა, მით უფრო, ამ ორ შენობას კომუნიკაციებიც კი საერთო აქვთ. ამ საკითხს, ალბათ შესაბამისი სამსახურები განიხილავენ და სწორ არჩევანსაც გააკეთებენ.

ლელი ძიძიაშვილი.

თვითმმართველობა

მუნიციპალური საკუთრების კარიბჭესთან

იმისათვის, რომ ხელმძღვანელობის ადგილობრივი ორგანოების უფლებები მეურნეობის გაძღოლის დარგში რეალურ საფუძველს დაეყრდნოს, მოხდეს მართვის ადმინისტრაციულიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა, ყველა საწარმო ნორმალურ ფარგლებში უნდა დაიბეგროს რეგიონალური სახალხო მეურნეობის სასარგებლოდ, მისი სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, გადასახადების დაწესებით შრომით და ბუნებრივ რესურსებზე, გარემოს გაჭუჭყიანებისათვის ჯარიმების გადახდევინებით და სხვა. უნდა შეიქმნას მუნიციპალური საკუთრება. ჩვენში ეს-ესაა იწყება ამ საკითხის დამუშავება-დაზუსტება. იმის დასტურად, თუ რაოდენ ჩამორჩენით ამ მხრივ, ნიშანდობლივია თუნდაც ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ჰონკონგში მეეზოვეების შრომის ანაზღაურების თანხები თითქმის მთლიანად გროვდება ქალაქში ავტომანქანების არასწორად დაყენებისათვის გადახდილი ჯარიმებით.

თანამედროვე პირობებში მთლად ნათლად არ არის გარკვეული ქალაქის (რაიონის), რესპუბლიკის და საერთოდ ყველა ტაქსონომიური რანგის რეგიონის სამეურნეო ანგარიშის და თვითმმართველობის მიზანშეწონილობის საკითხი. ერთი მხრივ, აქტიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს და სამეცნიერო-პრაქტიკული ფორუმები იმართება. მაგალითად, გასული წლის 8-10 თებერვალს უკრაინის ქ. ჩერკასში მოეწყო საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარ-კონკურსი თემაზე „მუნიციპალური სამეურნეო ანგარიშის პრობლემები". მაისის დამლევს ქუთაისში გაიმართა საკავშირო კონფერენცია, მუშავდება მასალები თვითმმართველობაზე ქალაქის გადასაყვანად, ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის 10 რეგიონი ექსპერიმენტული წესით უკვე წლის დამდეგიდან მუშაობს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით. ამავე დროს არის ამ პრობლემისადმი პესიმისტური დამოკიდებულების ყურადსაღები ფაქტებიც. მაგალითად, სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს წევრი, აკადემიკოსი ს. ს. შატალინი აღნიშნავს, რომ რეგიონული სამეურნეო ანგარიშის ეკონომიკური უაზრობა ეკონომიკაში დილეტანტებისთვისაც კი ცხადია. რეგიონული სამეურნეო ანგარიში მას მიაჩნია არარაციონალურ ცნებად და თვლის, რომ რაიონის ეკონომიკა არ შეიძლება დაექვემდებაროს ადგილობრივ ხელისუფლებას, იგი მხოლოდ ბაზარს და ნორმალური ბეგარის დამწესებელ სახელმწიფო კანონებს უნდა ექვემდებარებოდეს.

აქ დაშვებულია ორი უზუსტობა: 1) ტერმინ ეკონომიკაში იგულისხმება მხოლოდ წარმოების სფერო და უგულებელყოფილია მისი სოციალური სფერო; 2) მხედველობაში არ არის მიღებული სამეურნეო ანგარიშის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, როგორიცაა აღრიცხვა და კონტროლი. ჯერ განვიხილოთ ეს უკანასკნელი მომენტი.

ჩვენი აზრით, სსრ კავშირის შიგა რეგიონების სამეურნეო ანგარიშში უწინარესად იგულისხმება ტერიტორიული ერთეულების შემოსავლისა და გასავლის, მათი სალდოს დადგენა-გაანგარიშება. აქ ყოველთვის (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და მრეწველობის მომპოვებელი დარგების უპირატესი განვითარების შემთხვევაში) ვერ მოხერხდება აღნიშნული სალდოს დადებითი მნიშვნელობის მიღება. ცხადია, რომ ეს რაიონი ეკონომიკურად დამოკიდებული იქნება სხვა რეგიონებზე, საჭირო გახდება სახელმწიფო დოტაციის გამოყენება, ზოგჯერ კი პირიქით (მრეწველობის მაღალი საფეხურების, მისი გადამამუშავებელი დარგების უპირატესი განვითარების შემთხვევაში), ეს სალდო დადებითი იქნება და მის გარკვეულ ნაწილს სახელმწიფო წაიღებს შემდგომი გადანაწილების მიზნით.

რეგიონის შემოსავალ-გასავლის დაუბალანსებლობის შესაძლებლობას განაპირობებს ამჟამად ქვეყანაში მოქმედი ფასებისა და ფასწარმოქმნის არარაციონალური სისტემა. ამის გამოა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და მით უმეტეს მათი შიგა რეგიონების სახალხო მეურნეობათა პირობებთან (ღია ეკონომიკური სისტემები) დაკავშირებით წარმოებულ და მოხმარებულ ეროვნულ შემოსავალს შორის სხვაობაა. ამ განსხვავებათა მინიმუმამდე დასაყვანად არის სწორედ საჭირო რეგიონის გადაყვანა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. ამასთან შემდგომი მსჯელობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი რაიონი (თვითგამოსყიდვის მიუხედავად) საერთოდ არ შეიძლება იყოს ეკონომიკურად დამოუკიდებელი. ასეთი გაგება პირობითად ითვლება.

თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ეკონომიკურად მთლად დამოუკიდებელი არ შეიძლება იყოს არც პოლიტიკური დამოუკიდებლობის მქონე ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირებები (დახურული ეკონომიკური სისტემები), მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში რეგიონებს (სახელმწიფოებს) შორის მსოფლიო ფასებით ხორციელდება ეკვივალენტური გაცვლის პროცესი.

მსოფლიო მეურნეობის ინტეგრაციის თანამედროვე პირობებში, როდესაც შრომა რაციონალურად არის დანაწილებული ქვეყნებს შორის, მათ ეკონომიკურ დაახლოებას და ეროვნულ მეურნეობათა თანამედროვე, მაღალეფექტიანი სტრუქტურების ფორმირებას, სახელმწიფოთა განვითარების დონეთა გათანაბრების ტენდენციას, მეცნიერებისა და ტექნიკის ძირითად დარგებში ღრმა და მყარი კავშირების ფორმირებას, ქვეყნების მდგომარეობის განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე, ე. ი. როცა აღარ არის განცალკევებული (ავტარკიული), თვითდაკმაყოფილებაზე მყოფი, ფაშიზმის ეკონომიკური დოქტრინის მიმდევარი სახელმწიფოები, საზოგადოდ საუბარი შეიძლება მხოლოდ შეფარდებითს და არა აბსოლუტურ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე.

ამიტომ რესპუბლიკის შიგა რეგიონების სახალხო მეურნეობასთან დაკავშირებით სამეურნეო ანგარიში არ უნდა განვიხილოთ როგორც რაღაც ილუზორული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, არამედ როგორც საქმიანობის შედეგი, თვითგამოსყიდვა, ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ მეურნეობრიობის გარკვეული პრინციპები, რომელთა გამოყენება თვითმმართველობის პირობებში იძლევა ადგილზე გამომუშავებული სახსრებით ტერიტორიის სოციალური ინფრასტრუქტურის დაფინანსების შესაძლებლობის ზრდის, შრომითი კოლექტივების წევრთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების საშუალებას. რეგიონალური სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების სწორი გაგება აფართოებს მოსახლეობის ინტერესების კონსოლიდაციის საშუალებებს, მის მიზანსწრაფვას წარმოების ეფექტიანობის და ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

საზოგადოდ, განსახილველი საკითხის არსი ის არის, რომ რესპუბლიკას, ადმინისტრაციულ რაიონს, ქალაქს (მის შიგა რაიონებს) სათანადო ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების არსებობის შემთხვევაში ნორმალური ბეგარის დაწესება-დაკანონებით ადგილობრივ ბიუჯეტში შეუძლია მოიზიდოს მის ტერიტორიაზე შექმნილი ეროვნული შემოსავლის დამსახურებული ნაწილი და მისგან დააფინანსოს მოსახლეობისათვის საჭირო არასაწარმოო, სოციალურ-კულტურული ღონისძიებები, გააღრმაოს სოციალური განვითარების დემოკრატიზაციის საყოველთაოდ მიმდინარე პროცესი. თანამედროვე პირობებში ამისთვის საჭიროა დასაბუთებული ეკონომიკური ნორმატივებით რეგიონის ბიუჯეტის ფორმირება, მისი შემოსავალ-გასავლის ახალი მუხლების, სავალუტო სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების მიმართულებათა დაწესება-დაკანონება, ქალაქის (რაიონის) კრებსითი საფინანსო ბალანსის შედგენა. ამ სიახლეების დანერგვით მოსალოდნელია ადგილობრივი ბიუჯეტის დაახლოებით 2-ჯერ გაზრდა.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზანშეწონილია რეგიონის სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით მუშაობა.

სხვა საკითხია, რომ ეს ხელს არ აძლევს მეტისმეტად ცენტრალიზებული ხელისუფლების წარმომადგენელს, სახელმწიფო მოღვაწეს, თუ მეცნიერს. მაგალითად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ლ. ი. აბალკინი აღნიშნავს, რომ რეგიონული სამეურნეო ანგარიში ნეოლოგიზმია, ის სხვა არაფერია, თუ არა ლიტერატურული ქარაგმა, რეალურად არსებობს მხოლოდ მწარმოებლის სამეურნეო ანგარიში, სინამდვილეში ტერიტორიულ სამეურნეო ანგარიშში იგულისხმება მისი თვითმმართველობა, მისი არსი უფრო პოლიტიკურია, ვიდრე ეკონომიკური, რომ საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესს საფრთხე რეგიონებიდან უფრო ექმნება, ვიდრე უწყებებიდანო. მეტად საყურადღებოა, რომ მას ცოტა ხნის წინათ რამდენადმე სხვა აზრი ჰქონდა, იგი 1991 წლიდან სრულიად უყოყმანოდ მიზანშეწონილად თვლიდა რეგიონულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას არა მარტო რესპუბლიკების, არამედ ქალაქებისათვის. ეტყობა, ვიცე-პრემიერი და მისი კაბინეტი დეპრესიაში ჩააგდო ქვეყანაში გააქტიურებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მცდარია ეკონომიკისა და პოლიტიკის ასეთი დაპირისპირება, ისინი ხომ ერთი რიგის ცნებებია. პირველი განსაზღვრავს მეორეს, და პირიქით, პოლიტიკა დიდ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. იქნებ ღრმად პატივცემულ სწავლულს მკრეხელობად მიაჩნია მოკავშირე რესპუბლიკაში მცხოვრები მკვიდრი ერების დამოუკიდებლობა? მაშინ ეს ვერ გამოდგება მისი ბუნების ჰუმანური თვისებების დასადასტურებლად! ხოლო, თუ აკადემიკოსი შიშობს, რომ შიდარესპუბლიკური რეგიონების თვითმმართველობით შეიქმნება „ცალკე სამთავროები" და უწყებათა დიქტატი შეიცვლება ტერიტორიების დიქტატით, მაშინ იგი სიმართლესთან უფრო ახლოსაა, ვიდრე წინა შემთხვევაში იქნებოდა.

ლ. ი. აბალკინი სწორია, რომ ტერმინი „რეგიონული სამეურნეო ანგარიში" მთლად ზუსტად ვერ ასახავს ტერიტორიის მიერ წარმოებით ურთიერთობებისადმი წაყენებულ მოთხოვნილებებს. იგი, როგორც წესი, ეხება წარმოების სფეროს. მასში არსებული შემოსავალ-გასავლის დადებითი სალდოს მიღებას და მის გამოყენებას დამატებითი მოგების მისაღებად. მართვის ადგილობრივმა ორგანოებმა საწარმოებიდან ბეგარის სახით მიღებული სახსრები წარმოებაში კვლავ კი არ უნდა დააბანდონ და იზრუნონ მოგების მიღებაზე, არამედ გამოიყენონ სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამიტომაა, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში აკადემიკოს ნ. ი. პეტრაკოვს ამ შემთხვევაში მართებულად მიაჩნია ტერმინის „რეგიონული ეკონომიკური სუვერენიტეტის" გამოყენება. ჩვენი აზრით, „სუვერენიტეტი" პოლიტიკური ტერმინია და ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს განსახილველი საკითხის არსს. მოკავშირე რესპუბლიკის შიგა ტერიტორიული ქვედანაყოფების მიმართ უფრო სწორი იქნება ტერმინის „რეგიონული თვითმმართველობის", ან „ადგილობრივი თვითმმართველობის" გამოყენება. სახელმწიფო და სხვა გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესრულებაში მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობის საკითხებთან ერთად იგი მოიცავს მართვის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლის — მუნიციპალური საკუთრების ფორმირება-განაწილების საკითხებსაც.

იმისთვის, რომ რეგიონულმა თვითმმართველობამ შეძლოს ეკონომიკის გარდაქმნა, საბაზრო ურთიერთობის გაღვივება, მატერიალური დაინტერესების გაძლიერება და წარმოების ინტენსიფიკაცია, საჭირო იქნება მართვის ადგილობრივი სტრუქტურის და ხელმძღვანელი ორგანოების არსებითი განახლება. სამაგალითოდ გამოდგება მუნიციპალური მართვის შვედური მოდელი.

საყურადღებოა, რომ შვეციაში ხდება მუნიციპალური საბჭოს არჩევა ნამდვილ დემოკრატიულ საწყისებზე. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან არა ცალკეული პიროვნებები, არამედ სხვადასხვა პარტია, მათი პლატფორმები. მიღებული ხმების თანახმად განისაზღვრება მათი ხვედრითი წილი საბჭოში. ისინი თვითონ წარადგენენ ცალკეულ პირებს. მუნიციპალური საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ახორციელებს კავშირს საოლქო (ლანდსტინგისა) და სახელმწიფო (რიქსდაგი) ხელისუფლების ორგანოებთან. მისი წარდგინებით ხდება კომუნის (ქალაქის ან სოფლის) აღმასრულებელი დირექტორის (ჩვენში — „აღმასკომის თავმჯდომარის") დამტკიცება, კომპლექტდება მისი კაბინეტი. ეს პროცედურა პერიოდულად (3 წელიწადში ერთხელ) მეორდება თავით ბოლომდე. ის რაღაცით ჰგავს საბჭოთა ხელისუფლების არჩევის პროცედურას, მაგრამ, უდავოდ, უფრო დემოკრატიულია.

ხსენებული და სხვა ქვეყნების გამოცდილების მთლიანად გადმოტანა, ალბათ, გაუმართლებელი იქნება, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს. მხოლოდ ასეა შესაძლებელი რეგიონის ნამდვილი თვითმმართველობის დამკვიდრება. ჩვენი პირობებისათვის ამჟამად მთავარია, რომ გაფართოვდეს სამმართველო აპარატის მუშაკის ეკონომიკური თავისუფლების ფარგლები. მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრი ეკონომიკურად ბევრად არ უნდა იყოს დამოკიდებული მის მიერ აქ დაკავებული თანამდებობის ხელფასსა და სხვა პრივილეგიებზე. სასურველია, რომ მას ჰქონდეს შემოსავალი დამოუკიდებელი სამეურნეო ან კომერციული საქმიანობიდან. ასეთი „მმართველი", ჯერ ერთი, უფრო „გაუძლებს ცდუნებას" და „ხელს არ გაისვრის", არ გახდება მექრთამე, და მეორე — მისთვის ტრაგედიად არ გადაიქცევა ახალი მუნიციპალური საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებით მისი სამმართველო საქმიანობიდან განთავისუფლება.

მმართველის, ყველა პიროვნების ეკონომიკურ თავისუფლებას განსაზღვრავს საკუთრივ ეკონომიკის თავისუფლება, საბაზრო ურთიერთობის, ჯანსაღი კონკურენციისა და მიუკერძოებელი შეჯიბრების ატმოსფეროს დამკვიდრება, ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოებაზე მარტო ერთი ან ორი მონოპოლიური მწარმოებლის უფლების შეზღუდვა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით. ამისათვის მიზანშეწონილია მეურნეობრიობის პროგრესული ფორმების: იჯარის, კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების და სხვათა ჩამოყალიბება. უნდა მოხდეს მცირე ზომის საწარმოების შესყიდვა და ისინი უფრო სწრაფად უნდა განვითარდნენ, ვიდრე დიდი საწარმოები. მომავალი ჯგუფურ საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებებს ეკუთვნის, რასაც მოწმობს იგივე შვეციის (სადაც წარმოებათა საშუალებების თითქმის 85 პროცენტი მათზე მოდის) და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება. ამ ცვლილებებს ჩვენში გარკვეული დრო ესაჭიროება, აჩქარება არ გვარგია, საქმის დაჩქარება კი ნამდვილად საჭიროა.

მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ეკონომიკური სამსახურის გაძლიერება საწარმოებსა და ორგანიზაციებში: მთავარი ინჟინრის ინსტიტუტის შეცვლა მთავარი ეკონომისტის ინსტიტუტით. მთავარი ეკონომისტი უნდა გახდეს დირექტორის (მენეჯერის) პირველი მოადგილე, მიენიჭოს მას საფინანსო ხელმოწერის უფლება. შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელდეს საწარმოს შიგა სტრუქტურულ ერთეულებში. ბოლოს და ბოლოს, ჩვენში სათანადოდ უნდა დაფასდეს ეკონომისტი. ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკური რეფორმის დაჩქარებას, სიახლეთა დამკვიდრებას ძირეულ რგოლებამდე, შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, შრომის სტიმულირების გაძლიერებას.

რევაზ დვალიშვილი,

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

შიდა ქართლი

მდგომარეობა ცხინვალში

მდგომარეობა ცხინვალსა და ჯავის რაიონში კვლავ დაძაბულია. დაბინდებისთანავე, კომენდანტის საათის დადგომის მიუხედავად, ექსტრემისტული ჯგუფები ახალებენ სროლას. ასე იყო 17 იანვრის ღამითაც.

17 საათზე ექსტრემისტებმა ავტომატური იარაღით ცეცხლი დაუშინეს ცხინვალის შესასვლელში მდებარე ავტოინსპექციის პოსტს. ამის შემდეგ ქალაქის სხვადასხვა უბანში მთელი ღამე გრძელდებოდა შეიარაღებული თავდასხმები მილიციის საგუშაგოებზე. დაიჭრა კასპის რაიმილიციის განყოფილების თანამშრომელი ფეიქრიშვილი. მილიციის თანამშრომლები თავდამსხმელებს უპასუხებდნენ შესაფერი ცეცხლით.

ექსტრემისტები იყენებენ სხვადასხვა სახის საბრძოლო ჭურვებს, რის შედეგადაც ღამით ხანძარი გაუჩნდა რამდენიმე საცხოვრებელ სახლს, მაგრამ ამის გამო, რომ ქალაქის ბევრი ქუჩა ჩახერგილია რკინაბეტონის ბლოკებით, მილიციის სახანძრო მანქანებმა ვერ შეძლეს შემთხვევის ადგილამდე მისვლა და ვერ მოხერხდა ხანძრის ჩაქრობა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, შიდა ქართლში მყოფი საქართველოს მილიციის მუშაკები მწუხარებით იუწყებიან, რომ დღეს გარდაიცვალა თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტი ვლადიმერ ლობჟანიძე, რომელიც 1991 წლის 6 იანვარს ცხინვალში მძიმედ დაჭრეს ოსმა ექსტრემისტებმა.

17 იანვარს დილიდან ქ. ცხინვალში მდგომარეობა შედარებით მშვიდია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

საქინფორმი

და მაინც, ნომერი პირველი მზადყოფნა

მართალია, უკანასკნელი ორი დღე-ღამის განმავლობაში ცხინვალში ისმოდა სროლის ხმა, ქალაქი კი კვლავ იყო გადათხრილი, ბარიკადებით ჩახერგილი და უკაცური, იქ მაინც დამყარდა შედარებითი სიმშვიდე.

შტაბში, სადაც სამხედრო კომენდატურა მდებარეობს, განუწყვეტლივ გაისმის ტელეფონის ზარი, ახლა უკვე დამყარებულია კავშირი ჯავასთან და ზნაურთან. ზონების უფროსები ყოველ საათს მოახსენებენ ზემდგომებს, თუ რა მდგომარეობაა მათ საგუშაგოებზე. დიახ, ქალაქი ზონებად დაყოფილი. და რა უჩვეულოა ამის მოსმენა: „ეს ჩვენი პოზიციებია, ეს კი — იმათი", სწორედ ისე, როგორც ომის დროს...

— ვითარება ძალზე სერიოზულია, — თქვა კომენდანტმა გენერალ-მაიორმა გივი კვანტალიანმა. — მოსახლეობის ის ნაწილს აქვს დიდძალი იარაღი, რომელიც უკეთესია იმასთან შედარებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს რომ აქვთ. სიტუაციის მოწესრიგებაში მთავარი დაბრკოლება ის არის, რომ ქალაქში ექსტრემისტების გარდა დათარეშობენ კონტროლს დაუქვემდებარებელი მოზარდთა შეიარაღებული ჯგუფები და ეგრეთ წოდებული „ქალთა ბატალიონი". აქ განლაგებული სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილებმა კი, რომლებმაც ჩვენთან ერთად უნდა განახორციელონ მოსახლეობის იარაღის აყრის, პიკეტების მოხსნისა და ბარიკადების დაშლის, ესე იგი ქალაქში ნორმალური ცხოვრების აღდგენის ღონისძიებები, თავს არიდებენ ამას. და, იმის მიუხედავად, რომ არაერთხელ მივმართეთ ამ ნაწილების სარდლობას ამის გამო, არსებითად ყველაფერი უცვლელად რჩება. თუმცა, უკანასკნელ ხანს სამხედროები მონაწილეობენ ღამის პატრულირებაში.

ქალაქში კი ცხოვრება არ იგრძნობა. აი უკვე მერამდენე დღეა არ მუშაობენ საწარმოები და ორგანიზაციები, შეწყვეტილია მეცადინეობა ყველა სასწავლებელში, დახურულია მაღაზიები, გაჩერებულია ტრანსპორტი. თუმცა, როგორც შტაბში ამბობენ, არის ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობასთან და პროგრესულად მოაზროვნე ოს ინტელიგენციასთან მოლაპარაკებისთვის ხიდების გადების იმედი, რომლებიც თავიანთი მხრივ მშვიდობიანი გზით მოაგვარებენ სიტუაციას. მაგრამ, შტაბის მუშაკებს არ უკავიათ ლოდინის პოზიცია, ისინი ამუშავებენ ღონისძიებათა განხორციელების გზებსა და ხერხებს, ითვალისწინებენ და გამორიცხავენ ყოველ ნიუანსს, რომელსაც შეუძლია ტრაგიკული შედეგები გამოიწვიოს. ჯერჯერობით კი უზრუნველყოფილია, რომ ცხინვალში მყოფი, რომელსაც საქართველოს მილიცია იცავს, ნომერი პირველი მზადყოფნა გამოცხადებულია.

რიტა დოლიძე,

საქინფორმის სპეც. კორ.

საქართველოს მოიჯარეთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის მიმართვა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

საქართველოს მოიჯარეთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირი, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი, მთლიანად უჭერს მხარს თქვენს გადაწყვეტილებას ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ შექმნილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ და მტკიცე პროტესტს აცხადებს ამ საკითხზე მიხეილ გორბაჩოვის ანტიქართული, ერთა შორის შუღლის გამღვივებელი პოლიტიკის წინააღმდეგ.

პრეზიდენტ გორბაჩოვის შვიდი იანვრის ბრძანებულება სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს მილიციის ძალების გამოყვანის შესახებ ამ რეგიონში ეროვნებათა შორის შუღლის გამღვივებელ და ცენტრიდან წაქეზებულ მცირერიცხოვან ექსტრემისტულ-ავანტიურისტთა აშკარა მხარდაჭერაა.

ჩვენი მრავალრიცხოვანი კავშირის წევრთა და მასთან არსებული ფირმის „ეკონომიკის" სახელით მოგმართავთ, რომ ამ რთულ სიტუაციაში გიცხადებთ აბსოლუტურ თანადგომას, მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, ყველა შესაძლებელი საშუალებით დავიცვათ მრავალტანჯული ქართული მიწა-წყლის ყოველი გოჯი. სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში ვრიცხავთ ხუთი ათას მანეთს და ვისურვებდით მის სწრაფ გამოყენებას სამხრეთ ოსეთში დემოგრაფიული სიტუაციის იმგვარი გაუმჯობესებისათვის, რომელიც შექმნიდა ქართველი და ოსი ხალხისთვისაც ასე საჭირო სიმშვიდეს.

საქართველოს მოიჯარეთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის პრეზიდიუმი და ფირმა „ეკონომიკის" კოლექტივი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზ. გამსახურდიას

გავეცანით რა საბჭოთა პრეზიდენტის მიხ. გორბაჩოვის ქართველი ერისათვის მიძღვნილ „საჩუქარს" — 1991 წლის 7 იანვრის „პროვოკაციულ ბრძანებულებას", რითაც ის უშუალოდ მოუწოდებს ოს ექსტრემისტებს „ეტაპური მოქმედებისაკენ" ქართველი ერის წინააღმდეგ და უაპელაციოდ ერევა სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, 54-ე მექანიკური კოლონის თანამშრომლები უდრეკად აღშფოთებული ვართ და მოვუწოდებთ როგორც რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ქართველ ერს, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, ვისაც გული შესტკივა საქართველოს მომავალზე, გამოაცხადონ სრული ეროვნული დაუმორჩილებლობა პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სფეროში.

54-ე მექანიზებული კოლონის თანამშრომლები: ვ. პაპალაშვილი, ნ. ვახტანგიშვილი, ნ. შალამბერია, ვ. დონდუა, ნ. ედიშერაძე და სხვები. სულ 450 კაცი.

მოსკოვი, კრემლი სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ გორბაჩოვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გამსახურდიას

ბატონო პრეზიდენტო!

მას შემდეგ, რაც 1990 წლის 28 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა სავსებით მკაფიოდ გამოხატა თავისი ნება, აირჩია ეროვნული პარლამენტი და თვითონ დანიშნა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, დარწმუნებული ბრძანდებოდით, რომ იგივე ხალხი ყველაფერს გააკეთებს მის დასაცავად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ სამართლიანია და გამოხატავს როგორც ქართველი, ასევე ოსი ეროვნების ხალხის ინტერესებს.

თქვენი ა. წ. 7 იანვრის დაუსაბუთებელი ბრძანებულება, საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო, მიგვაჩნია უმაღლეს ცინიზმად და საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში უხეშ ჩარევად. საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფა არავის ეპატიება, ეყო საქართველოს, რაც ხლიჩეს და ასაჩუქრეს!

აღნიშნული ბრძანებულება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და თვით სსრ კონსტიტუციასაც.

საქართველოს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის საცდელ-მექანიკური ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი გამოხატავს პროტესტს ამ არაკანონიერი კანონქვემდებარე აქტის მიმართ და აღიქვამს მას, როგორც ზნეობრივი და იურიდიული ნორმების უხეშ დარღვევას.

დროა რესპუბლიკა მართოს ხალხის მიერ არჩეულმა ეროვნულმა მთავრობამ ისე, როგორც ხალხს სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

ქარხნის კოლექტივის სახელით დირექტორი ნ. ფხალაძე

შიმშილობენ ყვარლელი ოსები

საქართველოში მცხოვრებ ოსთა უმრავლესობას დამოკიდებულება ეგრეთწოდებული „სამხრეთ ოსეთის ოლქის" ირგვლივ არსებულ საკითხებთან დღითიდღე უფრო ნათელს ხდის მოსკოვის დიქტატის იმპერიალისტურ მიზნებს. საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის დღეს შიმშილობა გამოაცხადა ყვარლის ტრიკოტაჟის ფაბრიკის „დილის" კოლექტივის ერთმა ჯგუფმა, რომელიც უმრავლესობით ოსი ეროვნებისაა.

ოსები და ქართველები თვითონ მოაგვარებენ ყველა არსებულ თუ მოგონილ საკითხს, — თქვა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა მოშიმშილემ იზოლდა ბაგაევამ, — ისიც უნდა თქვას, რომ ოლქის შექმნა შორს გამიზნული ნაბიჯი იყო და დღეს ჩვენი თაობა მის სავალალო შედეგებს იმკის.

ფაბრიკის 30-მდე მუშა-მოსამსახურე ყვარელში შიმშილობს. მათი პოზიცია ნათელია: საქართველოს უზენაესი საბჭოს 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით სწორი და საჭირო ნაბიჯი გადაიდგა. ახლა მთავარია ყველა კეთილი ნების ადამიანის ძალისხმევა, რომ არ დავუშვათ რესპუბლიკის საშინაო საქმეებში გარეშე უხეში ძალების ჩარევა. უზენაესი საბჭოს მხარდამჭერი მიტინგები ტარდება ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის რაიონების საწარმო-დაწესებულებებში.

მიტინგის მონაწილენი პროტესტს გამოთქვამენ საქართველოს საქმეებში მოსკოვის უხეში ჩარევის გამო.

ზურაბ არსენიშვილი,

„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

გულის სიღრმემდე შევძრა და აღვაშფოთა საბჭოთა პრეზიდენტის „საშობაო მიმართვამ". მისი „უკაზის" ყოვლად უხეში, არადემოკრატიული, ანტიქართული ტონი შეურაცხმყოფელია მთელი ქართველი ერისათვის. ხოლო მისი შესრულება სამშობლოს ღალატი და მხოლოდ [illegible] გეგმის ხორცშესხმა იქნება. ქართველი ერი არ დაუშვებს ძირეული ქართული მიწის არც ერთი გოჯის დაკარგვას არც ახლა, არც მომავალში.

გამოვთქვამთ რა პროტესტს საბჭოთა პრეზიდენტის ანტიქართული „უკაზის" წინააღმდეგ, ქართული მიწა-წყლის დასაცავად მტკიცედ ვიდგებით ყველა პატრიოტ ქართველთან და ეროვნულ უზენაეს საბჭოსთან ერთად.

საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის და მისი გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლები: თ. რუსია, ლ. ჩხაიშვილი, ლ. პატარაია, ელ. ქავთარაძე, ნ. ლაშხია, ლ. ბერუჩაშვილი, ზ. კახიძე, ნ. წერეთელი, მ. ბოლქვაძე, რ. ბაკურაძე, ც. ხეიტაძე, კოგანი, ხ. მაისურაძე, ი. მაჭაია, ლ. ურიბაძე, ფ. სილაგაძე, ბ. კილიბერიძე, ლ. ლომაძე, ხუბულური, უმიკაშვილი, ქიხიშვილი, ლ. აბულაშვილი, ანდღულაძე, დვალიშვილი, მ. გავაშელი, მ. წულაია, ნ. წიკლაური, ნ. ქორქაშვილი, თ. მადალაშვილი, ე. მიროტაშვილი, ე. ბალამშვილი, რ. ლაბაძე, ნ. ჩაჩავა, ფირცხალაშვილი, ჩუბინიძე, კერესელიძე, ქ. ნავროზაშვილი, ლ. ნოზაძე, ჯ. მოგელაძე, ე. დოლიძე, მ. ჯიმშელიძე, ვ. ივანიძე და სხვები.

მოსკოვი, კრემლი სსრ კავშირის პრეზიდენტს გორბაჩოვს

საქართველოს სახაზრომრეწვის კოლექტივი აღშფოთებულია და შეურაცხყოფილია სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის პროვოკაციული ბრძანებულებით საქართველოს რესპუბლიკის თაობაზე. იმპერიის ეს ახალი გამოხდომა საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ყველა ხალხისთვის იმის დასტურია, რომ ცენტრს არ სურს ერთა მშვიდობიანი თანაარსებობა. თქვენ გაშლილად იყენებთ ავტონომიურ ფორმირებებს რესპუბლიკაში ერთაშორისო შუღლის გასაღვივებლად. ჩვენ არ დავუშვებთ „ყარაბაღს" საქართველოში, მაგრამ თუ ასეთი რამ ჩვენშიც განმეორდა, პასუხს აგებთ მთელი მსოფლიოს წინაშე, კვლავ დაღვრილი სისხლი კი ღირსეული საჩუქარი იქნება თქვენი ნობელის პრემიისა.

კატეგორიულად მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გააუქმოთ თქვენივე ხელმოწერილი კონსტიტუციისსაწინააღმდეგო ბრძანებულება. ჩვენს საშინაო საქმეებს ჩვენვე მივხედავთ.

ამირაძე, მეგინიშვილი, ზედგინიშვილი, ჯაჭვაძე, ელიაძე, გოგოლაშვილი, დეპუზაძე, კობერიძე, მინინოშვილი, წილოსანი, ციცხვაია, კაპანაძე, რუსიეშვილი, ვახაძე და სხვები, სულ 282 კაცი.

მოსკოვი, კრემლი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს

თქვენმა 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებამ საქართველოს სსრ 1990 წლის დეკემბრის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ აღაშფოთა თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს 2-ათასიანი კოლექტივის თითოეული წევრი, რადგან იგი მიაჩნიათ არაობიექტურად და უკანონოდ, რესპუბლიკის სუვერენიტეტის აშკარა ხელყოფად, რაც მის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევით გამოიხატა.

ყოველი სადად მოაზროვნე პოლიტიკოსისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეკემბრის დადგენილება შეესაბამება არა მარტო ქართველთა, არამედ ოსი ხალხის ინტერესებსაც, გამსჭვალულია მათი ტრადიციული მეგობრობის სულისკვეთებით და ხელს უწყობს ამ მეგობრობის შენარჩუნებას და განვითარებას.

თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მრავალეროვანი კოლექტივი მტკიცე პროტესტს აცხადებს თქვენი ბრძანებულების გამო და იმედს გამოთქვამს, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ.

თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივი

მოსკოვი, კრემლი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს

თქვენმა ბრძანებულებამ, საქართველოში ოსთა პრობლემებთან დაკავშირებით, აღაშფოთა და შეაძრწუნა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს თანამშრომლები. მასში პოლიტიკურად არ შეფასებულა ოს სეპარატისტთა მოქმედება, თუმცა თქვენ, როგორც პრეზიდენტი, კარგად უნდა იყოთ ინფორმირებული ამ საკითხში.

თქვენი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომელიც ლახავს საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებს, ხელ-ფეხს უხსნის ისედაც ლაგამაწყვეტილ ბანდიტურ დაჯგუფებებს, რომლებიც თარეშობენ ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში და კიდევ უფრო ამწვავებენ მათ მიერვე ჩამოგდებულ ეროვნულ შუღლს.

მიგვაჩნია, რომ კიდევ ერთი ფურცელი და ყარაბაღი სახელს არ მოუტანს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს, გარდაქმნისა და ახლებური აზროვნების ავტორს. იყავით ამ აღიარებათა ღირსეული დამფასებელი და ნამდვილი დემოკრატი არა სიტყვით, არამედ საქმით.

საქართველოს კულტურის სამინისტროს თანამშრომლები

მხარს ვუჭერთ საქართველოს პარლამენტს

ძნელბედობის ჟამი უდგას საქართველოს. ქართველთათვის ჭირ-ვარამი აბა რა ახალი ხილია, მაგრამ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებამ, რომლის შინაარსი ყველას კარგად მოეხსენება, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და თავისი ცინიზმით და ალოგიკურობით საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

აღსასრულის მოახლოებით შეშფოთებული და გახელებული იმპერიის მესვეურნი, თავის გარშემო შემოკრებილი „დემოკრატიული ძალებით" ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საქართველოში მცხოვრებ ერებს შორის ღვარძლი ჩამოაგდონ, ძმა ძმას გადაჰკიდონ, მეზობელი-მეზობელს, მოყვარე-მოყვარეს.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება ბევრ რამეზე გვიხელს თვალს. არ გვეგულება დღეს საქართველოში არც ერთი ქართველი, რომელიც სამშობლოსათვის არ იბრძოლებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მაგრამ დღეს სიკვდილის უფლებაც არა გვაქვს, რადგან ჩვენი სიცოცხლე საქართველოს სჭირდება.

დიდი გაჭირვებისა და ძნელბედობის ჟამი გვიახლოვდება. მდგომარეობა დაძაბული და შემაშფოთებელია. მტერი ცდილობს ვერაგულად გამოიყენოს ჩვენი ყველა სუსტი ადგილი. იგი მიზნად ესახავს, რათა დაგვავიწყოს მამა-პაპათა ადათ-წესი, შეგვარყიოს და დაგვასამაროს უმტკიცესი ბალავარი ჩვენი არსებობისა — ქართული ენა.

ჩანაფიქრი ბოროტი და შორს გამიზნულია, დრო კი — მზაკვრულად შერჩეული. ახლო აღმოსავლეთის ფონზე, სახიფათო მოვლენათა ფონზე, სსრ კავშირში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩესო ეგებ — ფიქრობს პრეზიდენტი.

მტერი დაუნდობელი და ვერაგია. მას სამხედრო ძლიერებაზე დაყრდნობილი ბოროტება უმაგრებს ზურგს, ჩვენი იარაღი კი მხოლოდ გონიერება, სამშობლოს ერთგულება და პიროვნული, უანგარო სიყვარულია.

ჩვენ მივმართავთ რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა, რათა გაჭირვების ჟამს მხარში ამოუდგნენ ქართველობას, გამოიჩინონ სიბრძნე და გონიერება, რადგან საქართველოს უბედურება მათ კერაზეც გადაივლის და კვალს დააჩნევს.

იმედი გვაქვს, ოსი ხალხის კეთილგონიერება, რომელიც ბოლოსდაბოლოს შესძლებს მტერ-მოყვრის გარჩევას, შექმნილი ვითარების სწორად შეფასებას, ერის ამ ნაწილის სასიკეთოდ შემობრუნებას, რომელიც მტრობით გონებადაბინდული შავსა და თეთრს ვეღარ არჩევს.

ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს საქართველოს პარლამენტს, მის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბატონ გორბაჩოვის ბრძანებულების შესახებ და მიგვაჩნია, რომ ეს ბრძანებულება თავისი სიგრძე-სიგანით ანტიქართული, ანტიკონსტიტუციური და წამქეზებლურია, რომელიც თუ დროზე არ აღიკვეთა, შეიძლება გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს.

ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მუდამ მხარში ვუდგებით რესპუბლიკის პარლამენტსა და მთავრობას, გავიზიარებთ საქართველოს საკეთილდღეოდ გადადგმულ მის ყოველ ნაბიჯს, რადგან არ არსებობს დღეს უფრო უზენაესი მიზანი ჩვენთვის, ვიდრე საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მშვიდობიანი არსებობაა.

საქართველოს მშვიდობის ფონდის პრეზიდიუმი

(საქინფორმი)

საკუთარ სახლში



სასიამოვნოა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" პუბლიკაციის შედეგად, ოცდაექვსი ბაქოელი კომისარიდან ოთხი, თავისი არცთუ აზრიანი არსებობით, თბილისს აღარ შეაწუხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილავთ კანონის პროექტს

რეფერენდუმის დროც დადგა

„**რეფერენდუმის** შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული, უაღრესად მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯია ეროვნული კანონმდებლობის განვითარების გზაზე. ათეული წლობით არსებობდა ფორმალური კონსტიტუციური შესაძლებლობა ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად იგი ბლოკირებული იყო, რადგან არ არსებობდა კანონი რეფერენდუმის ჩატარების წესის შესახებ. ხელოვნურად შეკოწიწებული იმპერიისათვის რეფერენდუმის რეალურად ჩატარება აქამდე არც იყო ხელსაყრელი, არც ცალკეულ რესპუბლიკებს აძლევდა ამის შესაძლებლობას. ამჟამად კი სწორედ რეფერენდუმში დაინახა მან საკავშირო სახელმწიფოს შენარჩუნების ნაწილობრივი შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ მიიღეს შარშან წლის დამლევს საკავშირო კანონი რეფერენდუმის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა გადაწყვიტა შეიმუშაოს ეროვნული კანონმდებლობა რეფერენდუმის შესახებ.

რეფერენდუმი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და სამართალში ნიშნავს კანონპროექტების ან სხვა სახელმწიფოებრივი ცხოვრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გამოტანას საყოველთაო-სახალხო კენჭისსაყრელად. რეფერენდუმი წარმოადგენს დემოკრატიის ყველაზე უფრო სრულყოფილ, პირდაპირ და რეალურ გამოხატულებას. რეფერენდუმის დროს ხალხია უზენაესი კანონმდებელი. სწორედ იგი და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანო, საბოლოოდ წყვეტს საკითხს მისდამი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულებით. სწორედ ამიტომაა მისასალმებელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დაინტერესება რეფერენდუმის პრობლემით.

რეფერენდუმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი იურიდიულ მეცნიერებაში აპრობირებულ სახეთა ერთგვარ ჯამს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, რეფერენდუმი საგნის მიხედვით შეიძლება იყოს: **კონსტიტუციური** (სარეფერენდუმოდ კონსტიტუციის ან მისი ცალკეული შესწორებების გამოტანა), **საკანონმდებლო** (როცა ხალხი კენჭს უყრის ამა თუ იმ დარგობრივი კანონის პროექტს) და **საკონსულტაციო** (საყოველთაო კენჭისყრელად რომელიმე ისეთი პრინციპის გამოტანა, რომლის მოწონება ან უარყოფა საფუძვლად ედება მთავრობის პოლიტიკას). გამოქვეყნებული პროექტი შეიცავს ძირითადად საკანონმდებლო და საკონსულტაციო რეფერენდუმის პრინციპებს. ამასთან იგულისხმება, რომ იქმნება რეფერენდუმის ფაკულტატური და არა სავალდებულო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მასშტაბით ჩატარების შესაძლებლობა, ყოველივე ეს პროექტში გაცხადებული მიზნის პროგრესულობაზე მეტყველებს.

პროექტში დეტალურადაა გადმოცემული რეფერენდუმის შესახებ ზოგადი დებულებანი, რეფერენდუმის მომზადებისა და დანიშვნის, მისი ჩატარებისა და რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მოქმედების წესი, აგრეთვე რეფერენდუმის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხები. საკავშირო კანონისაგან განსხვავებით მასში ნათლად ჩანს ის სპეციფიკაც, რაც საქართველოში რეფერენდუმის ჩატარებას უნდა ახლდეს თან. ეს კი ორიგინალური საკანონმდებლო აქტის ხასიათს აძლევს მას. ამასთან, ვითვალისწინებთ, რომ საქართველოში რეფერენდუმის შესახებ კანონი პირველად უნდა იქნეს მიღებული და პროექტის სრულყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე შენიშვნის გაკეთება.

1. პროექტის მე-6 მუხლში, რომელშიც ლაპარაკია რეფერენდუმის გამოცხადების უფლებაზე, ისიც უნდა იყოს აღნიშნული, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო რეფერენდუმს აცხადებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ შესაძლებელია რეფერენდუმის ჩატარება ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცალკეულ რაიონებშიც მათი კომპეტენციიდან გამომდინარე. მათი ეს უფლება არ ნიშნავს, იმას, თითქოს საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო რაიმე გამონაკლისს აკეთებდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობიდან. ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აუცილებელია იმ საკითხთა წრის განსაზღვრა, რომელთა თაობაზე **შეიძლება ან არ შეიძლება** რეფერენდუმის ჩატარება. მაგალითად, უნდა გაირკვეს, შეიძლება თუ არა აფხაზეთში ჩატარდეს რეფერენდუმი მისი მოკავშირე რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ, ანდა რეფერენდუმის გზით შეიძლება თუ არა დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვ. ამ საკითხთა გარკვევა თავიდან აგვაცილებს გაუგებრობას არა მარტო სარეფერენდუმო საკითხთა განსაზღვრაში, არამედ რეფერენდუმის ჩატარების სფეროში საქართველოს რესპუბლიკის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნაშიც.

2. რეფერენდუმის შესახებ კანონის პროექტის მომზადების დროს სახელმძღვანელო ბაზად, ჩანს, გამოყენებული იქნა უკვე აპრობირებული კანონი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. ამის დასტურია პროექტის რამდენიმე მუხლში აღნიშნული კანონის დამოწმება. ესეც რომ არ იყოს, დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის ზეგავლენა იმდენად დიდია, რომ პროექტის შინაარსში აღრეულია ორი ცნება — დეპუტატის არჩევა და საყოველთაო კენჭისყრა. საქმე ის არის, რომ რეფერენდუმის ჩატარება არჩევას კი არ ნიშნავს, არამედ კენჭისყრას, მოქალაქე კი არ ირჩევს, მაგალითად, რამდენიმე კანონპროექტისაგან რომელიმეს, არამედ მხოლოდ ერთისადმი დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს. ამიტომაა, რომ კანონმდებლები უზენაესი საბჭოს სესიაზე კანონს კი არ ირჩევენ, არამედ იღებენ. რეფერენდუმის დროსაც ხალხი კანონს იღებს ან არ იღებს. არჩევნები აქ არაფერ შუაშია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ცნებები: „საარჩევნო კომისია", „საარჩევნო უბნები და ოლქები", „ამომრჩეველთა სიები" და სხვა შესაბამისად შეიცვალოს უფრო სწორი ცნებებით: „სარეფერენდუმო კომისია", „სარეფერენდუმო უბნები და ოლქები", „ხმის მიმცემთა სიები" და სხვ. მით უმეტეს, რომ პროექტის ზოგიერთ მუხლში მართებულად არის ნახმარი ტერმინი „სარეფერენდუმო". მაგალითად, მე-16 მუხლში ლაპარაკია სარეფერენდუმო და არა საარჩევნო ბიულეტენზე. სხვა მდგომარეობაა მე-10 მუხლთან დაკავშირებით. ამ მუხლის სათაურია **„სარეფერენდუმო კომისიები"**, ხოლო მისი შინაარსი ასეთია: „რეფერენდუმის მომზადებასა და ჩატარებას უზრუნველყოფენ: 1) ცენტრალური საარჩევნო კომისია; 2) რაიონებში (ქალაქებში, ქალაქის რაიონებში) არსებული თითო საოლქო საარჩევნო კომისია; 3) საუბნო საარჩევნო კომისიები". აქ ცნებათა აშკარა აღრევაა.

საჭიროა პროექტის მთელ ტექსტში ერთიანი და ისიც სწორი ტერმინის ხმარება. რაც შეეხება საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონს, მისი დამოწმება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უნდა მოხდეს ან საერთოდ, უმჯობესია არც მოხდეს. ეს ახალ საკანონმდებლო აქტს პრესტიჟს შეჰმატებს.

3. პროექტის მე-19, მე-20 და 21-ე საკმაოდ მოზრდილ მუხლებში გათვალისწინებულია რეფერენდუმის შედეგების შეჯამების წესი უბნებში, რაიონებსა და მთელ რესპუბლიკაში. სამივე მუხლში ერთი და იგივე წესია მოცემული, ოღონდ მისი გამოყენების ფარგლები და რეფერენდუმის მონაწილეთა რაოდენობაა სხვადასხვა. შეიძლება სამივე მუხლის შინაარსის ერთში გადმოცემა და მისი გამოყენება როგორც საუბნო და რაიონული, ისე საერთო-რესპუბლიკური შედეგების შესაჯამებლად. ეს აგვაცილებდა კანონში ხშირ გამეორებებს.

4. პროექტის 21-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მთელ რესპუბლიკაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების შეჯამების ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს. იქვე მითითებულია: „ცენტრალური საარჩევნო კომისია რეფერენდუმის შედეგებს პრესაში აქვეყნებს ოქმის შედგენიდან სამი დღის ვადაში". აღნიშნულ მუხლში და სხვაგანაც არაფერია ნათქვამი რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების შესახებ. ეტყობა პროექტის ავტორები „რეფერენდუმის შედეგებში" გულისხმობენ მხოლოდ ხმების შეჯამების შედეგებს, მაგრამ მაშინ, თუკი ოქმი დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, ამ მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულება რატომ უნდა დაეკისროს კომისიას და ისიც 3 დღეში. უფრო კანონიერი იქნება ეს მონაცემები გამოაქვეყნოს თვითონ პრეზიდიუმმა. ხოლო თუ „რეფერენდუმის შედეგებში" იგულისხმება რეფერენდუმის ჩატარების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, მაშინ იგი კანონის სახით ან სხვა ფორმით უნდა გამოაქვეყნოს არა კომისიამ, არამედ აუცილებლად საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა არა 3, არამედ საერთოდ კანონის გამოქვეყნებისათვის დადგენილ 7 დღის ვადაში. აღნიშნული საკითხის გარკვევას დიდი იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება.

5. პროექტის 24-ე მუხლის საფუძველზე რეფერენდუმის შესახებ კანონის დარღვევისათვის ბრალეულ პირებს ეკისრებათ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ასეთი ნორმის არსებობა პროექტში ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის 12-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის, მითითებულია რომ ბრალეულ პირებს ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა, ე. ი. თვითონ ამ კანონით არაა კონკრეტული პასუხისმგებლობა გათვალისწინებული. მითითებულ პასუხისგებაში ნაგულისხმევია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, საარჩევნო დოკუმენტების გაყალბების ან ხმების არასწორი დათვლისათვის.

იგი ძირითადად 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან გამასწორებელ სამუშაოებს ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში რეფერენდუმის შესახებ კანონის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის თაობაზე უფრო გამართლებული იქნებოდა პირდაპირ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე და 140-ე მუხლების დამოწმება. მეორეც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიდი სხვაობაა დეპუტატის არჩევნებსა და კანონის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრას შორის. სხვაობა არა მარტო შინაარსით, არამედ თითოეული აქტის პოლიტიკური შეფასებითაც არის განპირობებული. რეფერენდუმი სახელმწიფოში ჩატარებული უდიდესი პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებაა. ამიტომ მის შესახებ კანონმდებლობის ბრალეული დარღვევა უფრო მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებისაა, რის გამოც პასუხისმგებლობაც ცალკე მუხლად და უფრო მეტი ხარისხისა უნდა იყოს გათვალისწინებული.

6. დაბოლოს, აუცილებელია გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებში ან ადგილობრივი რეფერენდუმების ჩასატარებლად საკმარისია საქართველოს რესპუბლიკის კანონი რეფერენდუმის შესახებ თუ საჭიროა სხვა, დამატებითი აქტების მიღებაც.

აღნიშნული და სხვა, ძირითადად სტილისტური ხასიათის, შენიშვნების გათვალისწინება უდაოდ შეუწყობს ხელს რეფერენდუმის შესახებ კანონის პროექტის ხარისხის გაუმჯობესებას.

რომან შენგელია,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თეატრი

მიზანი — „ტკბილი ცხოვრება"

ვინც თვალს ადევნებს სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლებს, დაგვეთანხმება, რომ ეს თეატრი ერთ ადგილს არ ტკეპნის. იგი დაუცხრომლად ეძიებს, განახლებისაკენ ისწრაფვის.

უკვე წელიწადია, რაც ამ თეატრის რეპერტუარშია სპექტაკლი „კარს იქით". იგი ტელევიზიითაც უჩვენეს და, წარმოიდგინეთ, ამან უფრო გაზარდა ინტერესი. სპექტაკლს დღემდე მაყურებელი არ აკლდება — ეს კი მოწმობს, რომ თეატრმა მაყურებელი შემოიკრიბა, მისი გეზი დაემთხვა მაყურებლის სურვილსა და მოლოდინს.

ზურაბ სამადაშვილი, ავტორი პიესისა „კარს იქით", როგორც დრამატურგი ამ თეატრში დაიბადა. ჩვენ გვახსოვს მისი საინტერესო მოთხრობა „ივლისი მესამედ", რომელიც ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა. ძნელად წარმოვიდგენდი, თუ ამ მასალაზე შესაძლებელი იყო პიესის შექმნა, მაგრამ რეჟისორმა ალექსანდრე ქანთარიამ ზურაბ სამადაშვილის პროზაში ეს მადანი შენიშნა და შთააგონა კიდეც მას პიესის დაწერა. ე. ი. მწერლისა და რეჟისორის ურთიერთობამ შვა „კარს იქით". მართალია, იგი არ განეკუთვნება მაღალ დრამატურგიას, არ გამოირჩევა არც სიუჟეტის თუ აზრის ორიგინალობით, მაგრამ მთავარი აქ მართლად, დაუნდობლად მხილებაა ჩვენი უახლოესი წარსულისა. დრამატურგმა ჩვენი ცხოვრების სხვა მხარე კვლავ ჩვენა, — მაგალითად, თუ შადიმან შამანაძის დრამატურგიაში ჩვენ გვეცნობით პატიოსან ადამიანებს, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი ოფლით და ჰაპანწყვეტით გააქვთ ყოველდღიური ცხოვრება (გავიხსოვთ, ალბათ, მამა „ღია შუშაბანდიდან", რომელსაც მუდმივი პროტესტის გრძნობა აქვს საქმოსნური „სოციუმის" მიმართ და მამასთან მუდმივ კონფლიქტში მყოფი ვაჟიშვილი, რომელიც ეუბნება მშობლებს: „ვინ ხართ" სადა ხართ? ჭურში ხართ? ხალხი რას ფიქრობს და რას აკეთებს, ვერ ხედავთ?"); თუ შამანაძემ პატიოსნებას შეწირულ ადამიანთა მოუწყობელი, ტკივილიანი ცხოვრების დრამას გვაზიარა, ზურაბ სამადაშვილი საქმოსანთა სამყაროს გვაცნობს, იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ნაწილია, ნიჭიერი ხალხია, მაგრამ დაშორდა სინდისნამუსს და სანაცვლოდ „კარგი ცხოვრება" მოირგო. ქართულ მწერლობასა და კინოში ასეთი ადამიანები მკაფიოდ გამოიკვეთა, თეატრში კი შედარებით ნაკლებად; ახმეტელის თეატრის სპექტაკლი „კარს იქით" მედროვის სახეს, მედროვეთა სამყაროს დამაჯერებლად წარმოგვიდგენს. როგორც ვთქვით, ეს ადამიანები ჩვენი სისხლი და ხორცია, ჭკვიანი ხალხია და მათი ძალისხმევა რომ კარგ საქმეებს მოხმარებოდა, ბევრი სიკეთის დათესვაც შეეძლოთ, ალბათ, მაგრამ საკუთარი კეთილდღეობა არჩიეს, და ძალაუნებურად ნაჭუჭში აღმოჩნდნენ.

სპექტაკლის ცენტრში დგას ნუგზარ ყურაშვილის გიგა: უნდა ითქვას, რომ ეს როლი სერიოზული ეტაპია მსახიობის შემოქმედებით ცხოვრებაში. საქმოსანთა მეტყველ სახეებს ქმნიან ალეკო ალავიძე (რეზო) და ირაკლი ნიჟარაძე (ნოდარი). მათთვის სიმდიდრისათვის ბრძოლაში სინდისი ხელის შემშლელი ბარგია. ამ სამყაროს თავისი კანონები აქვს — როცა ადამიანებს აგინებენ, მათ ღირსებას შეურაცხყოფენ, ფეხქვეშ თელავენ და აბუჩად იგდებენ — ეს კარგ ტონად ითვლება. მძლავრის ასპარეზზე ღირსება სხვისი დამცირებით, სხვაზე გადაბიჯებით და წახლის დაჭერით საზრდოობს. მომხმარებლური დამოკიდებულებაა ადამიანების მიმართ. ადამიანი მათთვის უბრალო ჭანჭიკია და ისე გამოუყვანენ წირვას, თვალსაც არ დაახამხამებენ. სპექტაკლში კარგად ჩანს: ვინც ამ თამაშში მონაწილეობს, იგი აღარ ეკუთვნის საკუთარ თავს, თამაშის წესი გამორიცხავს თავისუფლებას. რამდენ დამცირებას იტანენ, ნემსის ყუნწში ძვრებიან, ოღონდ არ დაკარგონ ერთხელ მოპოვებული მდგომარეობა, მოპოვება „ტკბილი ცხოვრებისა" ხომ ძნელია, მაგრამ უფრო ძნელი მისი შენარჩუნება ხდება. ვისაც ბასრი კბილები აქვს, ის ყველას გაფატრავს, ოღონდ თვითონ არაფერი დაუშავდეს, ბრძოლა პირველობისათვის, ბრძოლა გადარჩენისათვის უმთავრესი გამხდარა მათთვის.

რეჟისორი ალექსანდრე ქანთარია თავისი გმირების დახასიათებისათვის საინტერესოდ იყენებს რეტროსპექტივის ხერხს, უაღრესად ემოციურად და ლაღად დგამს მათი ბავშვობის, სკოლის სცენებს. უმცროს გიგას მსახიობი გიორგი გორგასანიძე განასახიერებს, უმცროს რეზოს — ზურაბ სალია, უმცროს ჯორბენას — კახა გაბელაია, უმცროს ნოდარს — ნუგზარ კვანტალიანი. მძლავრობის ტენდენციას ბავშვობიდანვე ეყრება საფუძველი — ეს შესანიშნავად აქვს მინიშნებული რეჟისორს სკოლის სცენაში, ჩანს, თუ მოზარდების სულში როგორ ჩნდება სისასტიკის, დაუნდობლობის, ცინიზმის ჟინი. შესანიშნავია სცენა, როცა თანაკლასელს დაჟინებით უბრძანებენ შარვლის გახდას (შენს ჯიბეში ფულის ამოსაღებად ხელს ვერ ჩავყოფთო). ფულს წაართმევენ, შარვალს კაუჭზე ჰკიდებენ და ერთი კუთხიდან მეორეში ისვრიან „კომკავშირელი აქტივისტის" სამოსს. ასე გადადის ხელიდან ხელში საბურთაოდ შარვალი. და ეს სცენა მეტყველი პლასტიკური გამოხატულებაა აზრისა, რომ ცხოვრება ომია და ვინც უფრო დაუნდობელია, იგი იმძლავრებს.

სპექტაკლში ყოველ მსახიობს ზუსტად განსაზღვრული მხატვრული ფუნქცია აქვს და ამიტომ ანსამბლში ცხადად იკვეთება თითოეულის ინდივიდუალური სახე. საინტერესო ხასიათებს ქმნიან ნელი ბადალაშვილი (ნატა), შალვა ბახტაძე (მძღოლი), მარინე დავითაშვილი (ხათუნა), მარინე შიშნიაშვილი (ნანა), მევლუდ კუპატაძე (უფროსი ჯორბენა), ნატო გაგნიძე და მიხეილ შავგულიძე (სტუდენტები), ვასილ შიხაშვილი და გიორგი ვასაძე (სამმართველოს თანამშრომლები).

სპექტაკლის დამდგმელი მხატვარია აივენგო ჭელიძე, ეს შესანიშნავი, მოაზროვნე შემოქმედია, მას მარტო ფერი, მოცულობა და სივრცე კი არ აინტერესებს, არამედ თვით მოქმედება — სპექტაკლის დინამიკა. სპექტაკლის ყველა მონაკვეთში საგრძნობია მხატვრის თვალი და გემოვნება, განსაკუთრებული ოსტატობითაა დამუშავებული სპექტაკლის შუქწერა.

უაღრესად მეტყველი და გამომსახველია მუსიკა ბადრი ბაგრატიონისა. იგი ზუსტად ესადაგება სპექტაკლის სტილისტიკას, ანიჭებს მას ცხოველმყოფელობას, ზოგჯერ სილაღეს და გულწრფელობას, ზოგჯერ ტკივილისა და სინანულის ინტონაციას.

საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის ყოველწლიურ კონკურსში „თანამედროვეობა და თეატრი" სპექტაკლი „კარს იქით" წლეულს საუკეთესოთა შორის აღიარეს, დრამატურგს, რეჟისორს და მთავარი როლის შემსრულებელს პრემია მიენიჭათ. ვულოცავთ სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრს ამ წარმატებას. ვუსურვებთ კვლავაც სისხლსავსე შემოქმედებით მერმისს და მაყურებლის მოლოდინის გამართლებას.

გიორგი ლალიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას განცხადება უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის

სავსებით ვიწონებ ამერიკის შეერთებული შტატების და ანტიერაყული კოალიციის მოქმედებას კაცობრიობის მტრის სადამ ჰუსეინისა და მისი დამქაშების ასალაგმავად. საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევები, სხვა ქვეყნის ანექსია დღეს არავის არ უნდა შერჩეს.

შეშფოთებას გამოვთქვამ მხოლოდ, ქიმიური ცენტრების დაბომბვამ გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზიანი არ მოუტანოს რეგიონს და მის მეზობელ ქვეყნებს. ჩემი აზრით, საჭიროა კონტრზომების მიღება ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ერაყის მეზობელ ქვეყნებში.

საქინფორმი

საზღვარგარეთ

რატომ დაიწყო ომი?

ომი სპარსეთის ყურეში უკვე რეალობაა. ერაყის მხრივ ქუვეითის ანექსიამ და ამის გამო რეგიონიდან წამოსულმა საშიშროებამ მესამე მსოფლიო ომის საფრთხე შვა. ბევრი სვამს კითხვას: რატომ არ დაემორჩილა სადამ ჰუსეინი მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ქუვეითიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე და საერთოდ რა ამოძრავებს მას?

ჰუსეინი თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებში ამტკიცებდა, ქუვეითი ერაყის შემადგენელი ნაწილიაო. მართლაც, როდესაც მე-9 საუკუნის II ნახევარში დასრულდა არაბთა დაპყრობითი ომები, შეიქმნა არაბთა სახალიფო, რომლის დედაქალაქი გახდა ბაღდადი. სახალიფოს დაშლის შემდეგ კი, არაბები დაიქსაქსნენ სხვადასხვა არაბულ გაერთიანებაში. დღეს, არაბული ქვეყნების ლიგა 21 არაბულ ქვეყანას, აერთიანებს, რომლებიც დამოუკიდებლად შედიან მსოფლიოს პოლიტიკურ ორგანიზაციებში, მათ შორის გაეროში და ითვლებიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად. რაც შეეხება ქუვეითს, რომლის მოსახლეობის 90 პროცენტი არაბია, მისი უძველესი ისტორია დაკავშირებულია არაბთა სახალიფოსთან. მე-16 საუკუნიდან ქუვეითი ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია იყო, ხოლო მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ბასრის ვილაიეთში შედიოდა. 1914 წელს ბრიტანეთმა ქუვეითი „ბრიტანეთის დამოუკიდებელ პროვინციად" გამოაცხადა, ხოლო 1961 წლიდან დამოუკიდებლობა მიანიჭა. მე-18 საუკუნიდან ქუვეითში საბაჰთა გვარის შეიხები დაწინაურდნენ, რომლებმაც 1962 წლის 16 ნოემბრის კონსტიტუციით ქუვეითი საგვარეულო საამიროდ გამოაცხადეს.

დაწყებული მე-19 საუკუნის ბოლოდან ვიდრე დღემდე, არაბებში ორი ძლიერი მიმდინარეობა გამოიკვეთა. ერთია დანაწევრებული არაბული ქვეყნების მომხრეები და მეორეა ერთიანი არაბეთის ანუ პანარაბიზმის მომხრეები.

პანარაბიზმს, ანუ არაბების ერთ ქვეყანაში გაერთიანების იდეას დიდი ხნის ისტორია აქვს. სადამ ჰუსეინი პანარაბისტია, ამით აიხსნება მისი მისწრაფება ქუვეითის ანექსიისადმი. ამავე დროს, სადამ ჰუსეინი ბაასის — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის წევრია. ბაასისტები აღნიშნავენ, რომ არაბი ერი მოწოდებულია შექმნას ერთიანი არაბული სახელმწიფო. ბაასის პარტიის წესდების მე-4 პუნქტი სოციალიზმს ეხება: „სოციალიზმი აუცილებლად გამომდინარეობს არაბთა ეროვნულობიდან, ეს სანიმუშო სისტემა დაეხმარება არაბებს ხორცი შეასხან საკუთარ შესაძლებლობებს". ბაასის პარტიის დევიზია: „ერთიანობა, თავისუფლება, სოციალიზმი".

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პანარაბიზმი და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის თეორიული მემკვიდრეობა სპარსეთის ყურეში ომის გაჩაღების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია.

არის სხვა მიზეზებიც. არაბულ ქვეყნებში ნავთობის უდიდესი მარაგია, დასავლეთს იგი ძლიერ სჭირდება, ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ნავთობზე მონოპოლია ჰუსეინს არ ჩაუვარდეს ხელში. არავითარ შემთხვევაში არ აძლევს ხელს არაბთა გაერთიანება ისრაელს. ქუვეითის ანექსია ხომ უდიდესი ანტიისრაელური ნაბიჯი იყო. ამავე აზრისანი არიან საბჭოთა კავშირი, იაპონია და დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა. ფაქტობრივად დიდი არაბეთის შექმნა არავის სურს, რადგან თუ 21 არაბული ქვეყანა გაერთიანდა, შეიქმნება ახალი ზეძლიერი სამხედრო სტრატეგიული სახელმწიფო, რომელიც გლობალურად შეცვლის ძალთა თანაფარდობას ჩვენს პლანეტაზე. ამიტომ გასაგებია, რომ ვაშინგტონმა და მისმა მოკავშირეებმა სპარსეთის ყურეში ჯარები გაგზავნეს. გასაგებია საბჭოთა კავშირის პოზიციაც, რომელმაც, მართალია, ხელშეკრულების თანახმად ერაყს დიდძალი იარაღი მიაწოდა, მაინც გაეროს ერაყის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებს შეუერთდა. გორბაჩოვს ურჩევნია საქმე ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინთან ჰქონდეს, ვიდრე დიდი არაბეთის სოციალისტური ზესახელმწიფოს ლიდერთან.

ასეთია სპარსეთის ყურეში ომის დაწყების რამდენიმე მიზეზი, რომელთა შედეგი ეჭვს არ იწვევს.

გურამ სიხარულიძე

ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების გამო პრეზიდენტმა ბუშმა ამერიკელ ხალხს მიმართა. ამერიკის ადმინისტრაციის მეთაურმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ერაყის მოწინააღმდეგე სახელმწიფოები იძულებული გახდნენ ძალა გამოეყენებინათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრიზისის მოწესრიგების ყველა პოლიტიკური საშუალება ამოიწურა.

ასოშიეიტედ პრეს-საქინფორმის ტელეფოტო.

Sgt Tim Gorrell
Sgt Troy Lewis

გუშინ დილით ბაღდადის დროით 3 საათზე, ანუ ვაშინგტონის დროით 16 დეკემბრის 19 საათზე, დაიწყო ერაყის წინააღმდეგ ომი. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ამერიკის ფ-15 ე ბომბდამშენ-ავიაგამანადგურებლებმა მასირებულად დაბომბეს და რაკეტები დაუშინეს ქუვეითისა და ერაყის სამიზნეებს.

სურათებზე: ფ-15 თვითმფრინავში საუდის არაბეთის საჰაერო ბაზაში საწვავს ასხამენ ერაყში პირველი საბრძოლო გაფრენის წინ; ერთ-ერთი პილოტი, წარმატებული საბრძოლო გადაფრენის შემდეგ ბაზაში დაბრუნებისას.

ასოშიეიტედ პრეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ამერიკის შეერთებული შტატები — საბრძოლო მოქმედება

ვაშინგტონი, 17 იანვარი (საქდესის კორ. ვლადიმერ მატიაში). ერაყის წინააღმდეგ საომარი მოქმედების პირველ დღეს „შტორმი უდაბნოში" ოპერაციის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერაყის საწინააღმდეგო საერთაშორისო კოალიციის სხვა ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო მანქანები განახორციელებენ 1300-მდე თვითმფრინავ-გაფრენას. ამას იუწყებიან პენტაგონის სამხედრო წრეები. მათი ამოცანაა გაანადგურონ ერაყის რაკეტები და ერაყის საჰაერო თავდაცვა, ჯარების მართვის ცენტრები და კომუნიკაციები, რომელთა დიდი ნაწილი ბაღდადის დასავლეთით არის განლაგებული.

როგორც გვაცნობა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის გენერალმა, რომელმაც გვთხოვა არ დაგვესახელებინა, ერაყისა და ქუვეითის მასირებული საჰაერო დაბომბვა გაგრძელდება „დიდხანს, ძალიან დიდხანს", პრაქტიკულად მთელი დღე-ღამის განმავლობაში. მისი თქმით, საომარი მოქმედების პირველი ოთხი საათის განმავლობაში მოკავშირეთა ძალებს არ დაუკარგავთ არც ერთი თვითმფრინავი, არ არის მსხვერპლი ამერიკის სამხედრო კონტინგენტს შორის, რომელიც საუდის არაბეთშია განლაგებული. მოიერიშე თვითმფრინავები მიფრინავდნენ „ძალიან დიდ სიმაღლეზე", აღნიშნა მან, და მათ ვერ დააზიანებდა ერაყის განკარგულებაში არსებული საჰაერო თავდაცვის საშუალებები.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ოფიციალურმა პირებმა დაადასტურეს, რომ საჰაერო დაბომბვას ხელს უწყობდნენ სპარსეთის ყურეში უშუალოდ ერაყის სანაპიროს სიახლოვეს მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდებიდან „უამრავი ფრთოსანი რაკეტების" გაშვებით. ამავე წყაროებმა დაადასტურეს, რომ ერაყის ჯარებზე საჰაერო თავდასხმის „მეორე ტალღაში" მონაწილეობდნენ, გარდა ფ-15-ე ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენებისა, „სტელსის" ტიპის „უჩინარი" ბომბდამშენები, რომლებიც ვერ „დაინახეს" მოწინააღმდეგის რადარებმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ყოველგვარ ამინდში მოქმედი ა-6 თვითმფრინავები და საზღვაო ავიაციის ფ-ა-18 ბომბდამშენები. ეს უკანასკნელნი იცავდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერაყის საწინააღმდეგო კოალიციის სხვა ქვეყნების ავიაბაზებს ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების შესაძლო თავდასხმისაგან.

საჰაერო ოპერაციებში მონაწილეობენ ბრიტანეთის უახლესი თვითმფრინავები „ტორნადო" და „იაგუარი", აგრეთვე ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავები, რომლებიც აღჭურვილია ადრეული გაფრთხილებისა და შეტყობინების ავაქსის სისტემით. საერთოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს კრიზისით მოცულ რეგიონში ჰყავს 1300-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი, მათ შორის 44 მანქანა ფ-117 „სტელსი" და 38 შორი მოქმედების რადიუსის ფ-111 ბომბდამშენი.

მსოფლიო მხმაურება ერაყის ამბებს

ირანის პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ დიდი სინანული გამოთქვა ომის დაწყების გამო. მან აღნიშნა, რომ ირანი „შეშფოთებულია და „გულმოდგინედ" ადევნებს თვალს მოვლენათა განვითარებას. ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის განცხადება შეიცავს ბრძანებას, რომ გაზარდონ ირანის ჯარების საბრძოლო მზადყოფნა. მასში ნათქვამია, რომ ირანის შეიარაღებული ძალები უფლებას არ მისცემენ მოქიშპე მხარეებს საიერიშოდ გამოიყენონ ირანის სახმელეთო, საჰაერო და წყლის სივრცე.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აქბულათმა განაცხადა, რომ ქვეყნის პარლამენტს მოსთხოვს მთავრობას „საგანგებო სამხედრო უფლებამოსილება" მიანიჭოს სპარსეთის ყურის მიდამოებში საბრძოლო მოქმედების დაწყების გამო. ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ თურქეთის ჯარის დაჯგუფება, რომელიც ერაყის საზღვარზე დგას, საბრძოლოდ არის გამზადებული. ჯერჯერობით არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს იმისა, რომ ერაყი იერიშს ამზადებდეს თურქეთის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატები და მთელი ერაყის საწინააღმდეგო კოალიცია საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად მოქმედებენ, რათა მშვიდობიან მოსახლეობაში რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი იყოს, თქვა პიკერინგმა. ერაყს გაეგზავნა გაფრთხილება, არ გამოიყენოს მასობრივი მოსპობის იარაღი და პატივი სცეს შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს შეიარაღებული კონფლიქტების თაობაზე. ერაყის ხელმძღვანელობას აცნობეს, რომ მკაცრად მოსთხოვენ პასუხს, თუ ქუვეითის ნავთობის სარეწები დაანგრია ან რაიმე ტერორისტულ აქტებს მიმართა ამერიკისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ უშიშროების საბჭოს წევრებმა უნდა ითანამშრომლონ ასეთი აქტების აღკვეთის მიზნით.

ერაყს, აღნიშნა მან, ჯერ კიდევ შეუძლია აიცილოს თავიდან ნგრევა-გაპარტახება, თუ უპირობოდ, დაუყოვნებლივ და მთლიანად გაიყვანს ჯარს ქუვეითიდან.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა გუშინ დილით გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ ეს „დიდი ოპერაცია იყო, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება", და მასში მონაწილეობდნენ ოთხი ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საუდის არაბეთისა და ქუვეითის შეიარაღებული ძალები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მოქმედებენ. თუ პირველი მონაცემებით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ „ოპერაცია ძალზე წარმატებული" იყო, ბრძანა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც აღნიშნა, რომ არა აქვს ცნობა, რომ თუნდაც ერთი ბრიტანელი სამხედრო დაღუპულიყო. როგორც მეიჯორმა თქვა, მოკავშირეთა სამხედრო კონტინგენტი „დიდ მნიშვნელობას" ანიჭებს იმას, რომ ერაყის სამოქალაქო მოსახლეობას არაფერი ავნოს ერაყის ობიექტების წინააღმდეგ იერიშებმა.

როცა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, ხომ არ ჯობს, ცოტა ხნით შეაჩერონ მოკავშირეებმა საომარი მოქმედება ერაყის წინააღმდეგ და დაელოდონ ბაღდადის რეაქციას, ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა ბრძანა: „არა, ასეთი შეჩერება ახლა არ შეიძლება, ოპერაცია გრძელდება. მე საფრთხეში ვერ ჩავაგდებ ბრიტანელ სამხედრო მოსამსახურეთა სიცოცხლეს".

როგორც პრემიერ-მინისტრმა თქვა, იმედი აქვს, რომ მოკავშირეთა ჯარების ოპერაცია „სწრაფი და წარმატებული იქნება", კერძოდ იმიტომ, რომ „წინასწარი მონაცემებით, ერაყს დიდი ზიანი მიადგა". „იმედი მაქვს, რომ სადამი დატოვებს ქუვეითს და საშუალებას მოგვცემს სწრაფად მოვაგვაროთ სიტუაცია", — თქვა მან.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა გადაწყვიტა ბრძოლაში ჩართოს საფრანგეთის ჯარები, რომლებიც კონფლიქტის რაიონში არიან დაბანაკებული. ეს აქ განაცხადა ფრანს პრესის სააგენტომ, რომელმაც „უტყუარი წყაროები" დაიმოწმა. საფრანგეთის კონტინგენტი ამერიკის სარდლობას დაექვემდებარება, როგორც დადგენილი იყო მოკავშირეთა გეგმით.

ჩინეთი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სპარსეთის ყურეში ომი ატყდა, რომლის თავიდან აცილებასაც ასე ცდილობდა საერთაშორისო გაერთიანება. ეს განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

მან მხარეებს მოუწოდა თავშეკავება გამოიჩინონ, რათა საერთაშორისო გაერთიანებამ როგორმე გამონახოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ისრაელს ჯერჯერობით არანაირად არ შეხებია კონფლიქტი, მაგრამ გულმოდგინედ ადევნებს თვალს მოვლენათა განვითარებას. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე არენსმა ოპერაციის დასაწყისს წარმატებული უწოდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, საფრთხე ჯერ კიდევ არისო.

ომის დაწყება ერაყის ხელმძღვანელობის ბრალია, განაცხადა ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კაიროს რადიოთი. ეგვიპტეში უსაფრთხოების საგანგებო ღონისძიებანი ხორციელდება, გაძლიერებით იცავენ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ქუვეითელ ლტოლვილთა დაბინავების ადგილებს.

სადაურსა სად...

ამერიკელი ქართველები — თვალის ერთი გადავლებით

გრიგოლ დიასამიძის არქივში აღმოჩენილი გრიგოლ რობაქიძის უცნობი წერილები იმითაც არის საყურადღებო, რომ ისინი გვაწვდიან უნიკალურ ცნობებს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიიდან შვეიცარიაში გადასახლებული მწერლის ჟენევური პერიოდის შემოქმედებისა და ოჯახური ცხოვრების შესახებ.

სულ აღმოჩენილია 5 წერილი, რომლებიც გრიგოლ რობაქიძეს გაუგზავნია ჟენევიდან 1948-1950 წლებში, მაშინ ჯერ კიდევ დასავლეთ გერმანიაში, კერძოდ, ქალაქ ვანგენში მცხოვრებ გრიგოლ დიასამიძისადმი (ამერიკაში გრიგოლ დიასამიძე 1952 წლიდან გადასახლდა). 1948 წლის 10 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან ირკვევა, რომ ჟენევაში სამი წლის ცხოვრების განმავლობაში გრიგოლ რობაქიძეს დაუწერია ხუთი წიგნი: კერძოდ, თავისი ცნობილი წიგნის (ასე იხსენიებს მწერალი თავის „ადოლფ ჰიტლერს“) **„ჩემი განმარტება“**, რომელიც „თვითონ წიგნზე უფრო ვრცელი ყოფილა (შდრ. რ. ლომინაშვილი, მამულიშვილური მიზნებით და მისწრაფებებით, „კომუნისტი“, 29. III. 1990). ამას გარდა, დაუმთავრებია ოთხი წიგნი: **1. „ისრაელი როგორც საიდუმლოება და ბედისწერა“, 2. „ატლანტური ზმანება ანუ ქართული მითოსი“; 3. „ინიდან წყაროსთან“, 4. „ფრიდრიხ ნიცშე“.** ამ ხუთი წიგნიდან მხოლოდ „ატლანტური ზმანება ანუ ქართული მითოსის“ ფრაგმენტებია გამოქვეყნებული „ქართულ საქმესა“ და „ბედი ქართლისაში“. დანარჩენები სულ მთლად უცნობია მკითხველისათვის და ჩვენი ვარაუდით, შვეიცარიაში, ციურიხის გენეტიკური ფილოსოფიის არქივისათვის გადაცემული გრიგოლ რობაქიძის პირად ფონდში უნდა იყოს. **აქედან კიდევ ერთხელ აშკარა ხდება, თუ რამდენად დაუშვებელია გრიგოლ რობაქიძის არქივის შვეიცარიის ხაცავის ტყვეობიდან დახსნის ასე დანაშაულებრივი გაჭიანურება, რომელიც წლების მანძილზე გრძელდება...** სხვა რომ არაფერი აღმოჩნდეს ამ არქივში, მარტო აქ დასახელებული გრიგოლ რობაქიძის გამოუქვეყნებელი წიგნები ერთბაშად გაამდიდრებდა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიას. უთუოდ საყურადღებო იქნება აგრეთვე **„ჰიმნი ორფეოსზე“**, რომელიც, როგორც წერილებიდან ჩანს, გრ. რობაქიძეს 1949 წლის თებერვალში დაუწერია ჟენევაში.

გრიგოლ რობაქიძის ამავე წერილებიდან დავრწმუნდით, რომ თურმე მისი მეუღლეც — ელენე (ლენა) ფილატკინა სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა და გამოქვეყნებული ჰქონია მოთხრობები როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში (შდრ. რ. ლომინაშვილი, გრიგოლ რობაქიძის წერილები ს. ფანჩულიძისადმი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1989 № 3, გვ. 23, 27).

წერილებში მოხსენიებული **ალია** გრიგოლ რობაქიძის შვილობილია, ხოლო **„ოთარის დაკარგვაში“** პროფესორ მიხაკო წერეთლის ერთადერთი ვაჟიშვილის — **ოთარ წერეთლის** მეორე მსოფლიო ომში დაღუპვა უნდა იგულისხმებოდეს, **სანდრო** კი **ბარონ დემეტრაშვილია** — დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი ელჩი შვეიცარიაში, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ჟენევაში ცხოვრობდა. ბოლო ორ წერილში საუბარია გრიგოლ რობაქიძის ოჯახურ ტრაგედიაზე — მისი მეუღლის დამბლის დაცემაზე.

ფოსტის ხარჯების შესამცირებლად (წონაში მოგების მიზნით) გრიგოლ რობაქიძეს წერილები პაპიროსის თხელი გამჭვირვალე ქაღალდის ორივე გვერდზე დაუწერია, რის გამოც მელანს გაუჟონავს და ძნელად იკითხება.

აი, ეს წერილებიც:

I.

10.9.1948.
ჟენევა.

ძვირფასო და საყვარელო გიგო!

მივიღე შენი ბარათი — 18.8.1948 თარიღით. პარიზიდან გადმომიგზავნა ქ. სალიამ. ვერა მოგწერე რა ამ სამი წლის განმავლობაში, რადგან მეგონა თითქოს ჩემს სახელს „ერიდებოდი“ მანდ. შენს ბარათში ხ. შავიშვილისადმი ნათქვამი იყო მოკითხვა მანდ მყოფ ქართველებსო — „სხვა“ დროს ჩემს სახელს უთუოდ ახსენებდი, „სარიდი“ კი არა იყო რა. მე ჩემს გერმანელ მეგობრებთან და ნაცნობებთან მიწერ-მოწერა სრულიად „თავისუფლად“ მაქვს გამართული. მინდოდა მეცნობებია ეს შენთვის არიადნა დიამანტიდის საშუალებით — ის კი პარიზში გადასახლდა. მანდ აღარ დაბრუნებულა. ერთი რამ უნდა გაუწყო ამასთან დაკავშირებით: ჩემი ცნობილი წიგნი, რომელმაც არასასურველი ატმოსფერო შექმნა ჩემი სახელის გარშემო, ვერ იქნა ნამდვილად გაგებული ვერც მომხრეთა ბანაკში იქ გამოყვანილი პიროვნებისა და ვერც მის მოწინააღმდეგეთა შორის. იქ იდუმალი მეთოდით გაყვანილია 8 „თუ“: „თუ ასე მოიქცა“ ეს არაა ცხადად ნათქვამი, ხოლო „შინაგან“ იგი ხაზგასმით თქმულია, ჩემი რა ბრალია. თუ ამ 8-თუ-ში ერთიც არ იქმნა გამართლებული! შარშან შემოდგომაზე დავსწერე „ჩემი განმარტება“, რომელიც თვითონ წიგნზე უფრო ვრცელია. იქ ვიძლევი „შიფრს“ წიგნის ნამდვილი გაგებისათვის (ამ „თუ“-ების შესახებ ვესაუბრე ერთს გამოჩენილ გერმანელს ჯერ კიდევ 14.10.1942, როცა გერმანია მარჯზე მარჯს დღესასწაულობდა. ეს აღნიშნულია განმარტებაში). ოდესღაც გამოქვეყნდება უთუოდ. ვინც კი წაიკითხა — განცვიფრებული დარჩა. „განმარტებას“ გაეცნენ აქაურნი სათანადო უწყებანი. არავითარი დაბრკოლება არ ამართულა ჩემს წინაშე — პირიქით. მუდმივი თავშესაფარის უფლებაც კი მომცეს, რომელსაც ძვირად თუ ვისმე არგუნებენ, ვგულისხმობ ლტოლვილს. ამდენად ამის შესახებ ბედს ვერ დავემდურები. აქ შეძლება მომეცა — მძლავრად გამეშალა ჩემი შემოქმედება. მოვათავე ოთხი წიგნი: 1. **„ისრაელი როგორც საიდუმლოება და ბედისწერა“**, გადმოვშალე ძველთა ძველი საიდუმლონი, რომელნიც საუკუნოთა განმავლობაში ან ვერ დაუნახავთ, ან და, თუ დაუნახავთ, ბოლომდე ვერ აუხსნიათ; 2. **„ატლანტური ზმანება ანუ ქართული მითოსი,“** სამი კამარა ამ შრომიდან გამოვაქვეყნე „ქართულ საქმეში“ — დანარჩენს ვაქვეყნებ „ბედი ქართლისა“-ში (დრო და დრო). აქ ვშლი კარდუს მზეოსან სამყაროს, რომელიც თვითონ ქართველთათვისაც უცნობია. ერთხელაცაა, და, ნახავს კაცობრიობა თუ რა არის „საკარდუელო“ — საქართველო. 3. **„ინიდან წყაროსთან“**, აღმოვაჩინე საიდუმლო ეგვიპტელთა მისტერიებისას ამ „ენგადიდან“. ვიხილავ დასავლეთის „გონიერ“ ვითარებას. ერთი ნაკვეთი ამ შრომიდან — ეხება მაგისტრალს დასავლეთის ფილოსოფიისა — დაიბეჭდება ერთს ფრიად მნიშვნელოვან ჟურნალში. რედაქციამ ჟურნალისა გამოსთქვა თავისი აზრი ასე: „შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი იყო, რომ...“, ამ დღეებში აქ იყო ჟურნალის ხელმძღვანელი. ნაკვეთი მიწათლა — რამოდენჯერმე — „გენიალურად“. 4: **„ფრიდრიხ ნიცშე“**, ავსახე ნამდვილი ნიცშე. წავიკითხე მოკლედ ციურიხში (ერთს წრეში). განცვიფრებული დარჩნენ. დაწვრილებით სხვა დროს.

ლენამ დასწერა ერთი მოთხრობა „НЯНЯ“ — შესანიშნავია. მიღებულ იქმნა აქ ერთს გერმანულ ჟურნალში (ჯერ არ დაბეჭდილა). რუსული ტექსტი დაბეჭდეს ამერიკაში (ერთს ალმანახში). სხვათა შორის ლენა მუშაობს UNO-ში, აქ.

ალიამ დაამთავრა სწავლა აქაურ უნივერსიტეტში. სხვათა შორის დაჰყო ერთი წელი ნიურნბერგში — მთარგმნელად იყო აყვანილი, ეხლა სამუშაოს ეძებს. იმედია იშოვის.

აი, ასე: ბედს ვერ დავემდურები, ჩვენი აქ „გამოქცევა“ მოაწყო ერთმა ქართველმა. დაწვრილებით — შეხვედრისას. ქ. სალიამ მითხრა აქ ყოფნისას: თითქოს მოწყობილი იყოს შენი გადასახლება პარიზში, კარგი იქნება. ჩვენ არ ვაპირებთ დავსტოვოთ ევროპა — ვიზისათვის (არგენტინაში გადასახლებლად), მაინც ვზრუნავთ („ყოველ შემთხვევისათვის“).

სანდრო დემეტრაშვილი მთხოვს შენს მისამართს — გავუგზავნე...

ოთარის დაკარგვამ ღრმა ტკივილი გამოიწვია ჩემში. მე, ლენა და ალია გითვლით მხურვალე სალამს შენ, ლოლას და პატარა ნინოს.

იყავით მხნედ, მარჯვედ და კარგად!

შენი ერთგული
გრიგოლ რობაქიძე.

II.

27.9.1948.

ძვირფასო და
საყვარელო გიგო!

გიგზავნი ამ ბარათთან ერთად „უცნობ საქართველოს“. კითხვისას მიაქციე ყურადღება სხვარიგ დასმულ ნიშნებს შესვენებისა. მხოლოდ ამრიგად შეიძლება გადმოიცეს გრაფიკულად ჩემ მიერ მოზმეული სინტაქსიური დენა ქართულისა. საჭიროა პაუზებით კითხვა: „ნაბული შეჩერებით“. ჯერ წაიკითხე შეუწყვეტლივ: მთლად-მერმე ნაწილ-ნაწილ. დაინახავ, თუ რა „მადანი“ აღმომიჩენია. საქართველო — აი, ეს საქართველოა კარდუს საქართველო და არა უბრალო „ეთნოგრაფიული“ ერთეული, როგორც ჰგონიათ. მე „მედიდურად“ მთვლიან — ეს იცი შენ. არაა მართალი! ჩემი რწმენა ჩემი ძალისა შინაგანი რწმენისაგან გამომდინარეობს. გოეტჰეს სიტყვა ჰერდერის მიმართ ცნობილია: „პირველსაწყისი მცენარე იქნება სამყაროს საუცხოო ქმნილება, რომლისაც თვით ბუნებასაც შეშურდება“, მან იცოდა: თუ რა დიდი რამ აღმოაჩინა. გარდა ამისა: მე უკვე „საიქიოსაკენ“ მიჭირავს თვალი და „სააქაო“ დიდება ძველებურად აღარ მიზიდავს“. ეს „საქართველოა“ ის „ენგადი“, საიდანაც შეიძლება ნამდვილი აღორძინება ჩვენი ერისა. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ ქართველს, რომელიც გამზადილია მამულიშვილური მოღვაწეობისათვის. უთუოდ გამოაქვეყნეს ცნობები ჩემს შესახებ — ძალიან კარგად — აქაურ ლექსიკონშიაც. ეს ლექსიკონი იმგვარივეა, როგორც ბროკჰაუზის (ხომ იცი, ბროკჰაუზშიაც კარგად ვარ ნახსენები!). აქაური ლექსიკონი გამოვიდა ჯერჯერობით ექვსი დიდტანიანი ტომი (მე მეექვსეში ვარ მოქცეული) — სასიხარულოა.



„ბედი ქართლისა“-ზე მწერ: ამბობენ, „განძრახულიაო“. ჭორია! დავანებოთ ამ მითქმა-მოთქმას თავი — რა იბეჭდება იქ?! ამას უნდა ჩაუკვირდე! კარგი იქნება, თუ შენც მიიღებ იქ მონაწილეობას.

შავიშვილს თვალები ტკივა. კითხვისას გამადიდებელი შუშა სჭირდება. ნუ დაემდურები მაინცა და მაინც, თუ შენს ბარათს ვერ გამოეხმაურა.

იყავ მხნედ და კარგად!

ვუსურვებ ყოველ ნათელსა და კეთილს შენს ლოლას და პატარა ნინოს.

შენი
გრიგოლ რობაქიძე.

P. S. გწერ აჩქარებით.

III.

30.3.1949.
ჟენევა.

ჩემო ძვირფასო და საყვარელო გიგო!

ძალიან დაკავებული ვიყავ ამ ბოლო დროს. მხოლოდ დღეს შემიძლია გამოვეხმაურო შენს ბარათს (23.2.49).

1. შეგიძლია გაუგზავნო ჩემი ნარკვევი „უცნობი საქართველო“ შენს ნაცნობ პროფესორს დეეტერსს. უკან გამოგზავნა ნარკვევისა საჭირო არაა.

2. მახარებს ამბავი: შესდგომიხარ „ჩვენი საოჯახო მატიანის“ წერას. დარწმუნებული ვარ: ბევრს რამეს „გადმოფურცლავ“ საგულისხმიეროს.

3. უგლოვები, გავიგეთ: კარგად არიან. რიტა — ერთგულესი მეგობარი ლენასი — არაფერს იწერება. წარმოიდგინე: პასუხიც არ გასცა ლენას (წერილზე). გასაშტერებელი ამბავია! ვთქვათ, ერიდება წერილის გამოგზავნას საბჭოთა ზონიდან, საცაა მოქცეული — ხომ შეეძლო რომელიმე სხვა ზონაში გასულიყო და იქედან გამოეგზავნა ბერლინში. ეს ადვილი ამბავია!

4. ნაწყენი ხარ, რომ ხ. შავიშვილმა არ გიპასუხა... ალბად გაუძნელდა პასუხი ტექნიკურად: თვალები ისე აქვს დაავადებული, რომ გამადიდებელი შუშით უხდება კითხვა. წარმოიდგინე, თუ რა ძნელი უნდა იყოს მისთვის წერა! ეხლა კიდევ ერთი უბედურება დაემთხვა: მოტოციკლეტი დაეტაკა და მარჯვენა ბარძაყი მოსტეხა. ოთხ თვეზე მეტია საავადმყოფოში იწვა. ეხლა დასასვენებელ სახლშია. მორჩენით მორჩება — მაგრამ ამას დრო უნდა. როგორც კი გამომრთელდება, შეუდგება შენს საქმეს — გავახსენებ.

5. მიხარია ფრიად, რომ „ბედი ქართლისა“-ში იღებ მონაწილეობას. ეს ჟურნალი უნდა იქცეს გონისა და სულის კერად, ლტოლვილ ქართველთა — ასე მესახება მისი გეზი. უთუოდ ითანამშრომლე! ჭორებს ნუ მიაქცევ ყურადღებას!

ბოდიში, რომ ასე „მშრალად“ გწერ. რა ვქნა — დატვირთული ვარ სამუშაოთი! წიგნი „ფრიდრიხ ნიცშე სატირულის შესახებ“ უკვე მზადა მაქვს. ერთი გერმანელი გამოჩენილი პოეტი ბრუნო გოეტც, ჩემი მეგობარი — რომელიც ამ ხანად ციურიხში ცხოვრობს, მწერს: „ყველაფერი სხვა, რაც აქამდე ნიცშეს შესახებ დაიწერა, ფერმკრთალდება თვითონ „ნიცშეს — ლიტერატურასთან“ შედარებით.

გასაოცარია არა!! მან წაიკითხა ჯერ მხოლოდ პირველი მესამედი მანუსკრიპტისა — რას იტყვის, როცა მთლად წაიკითხავს. კიდევ უფრო აღფრთოვანებულია იგი ჩემი ჰიმნით („ჰიმნი ორფეოსზე“), რომელიც შევქმენ თებერვალში! (როცა ასეთი „სჯანი“ მომყავს ხოლმე სხვებისა ჩემი შემოქმედების შესახებ, „ავყია“ თანამემამულენი ამბობენ თურმე, „გაგონილა სადმე ასეთი თავის ქებაო?!“ ქება სხვებისა განა თავის ქებაა?! თუ ასეთი ქება მომყავს ხანდახან — ეს მხოლოდ ისტორიისათვის საჭიროა!

ლენა და ალია გითვლის მხურვალე მოკითხვას — გულითადს.

იყავი მხნედ და კარგად!

მხურვალე მოკითხვა ლოლას და ალერსი პატარა ნინოს!

შენი
გრიგოლ რობაქიძე.

IV.

27.2.1950.

ჩემო ძვირფასო გიგო!

ვიყავი პარიზში. მოხსენებაზე ვახტანგ ღამბაშიძეს წვეთი დაეცა. მადლობა ღმერთს, გამოკეთებულა. ამა თვის 21 თავს დამატყდა საშინელი უბედურება: ლენას დაეცა წვეთი. წაერთვა მარჯვენა მხარე. ველარ იდგამს ენას: ორ-სამ სიტყვას თუ წარმოსთქვამს. წევს კლინიკაში. კარგად უვლიან. სიცოცხლის ძალა თანდათან ემატება. სახე გაუსწორდა მეორე დღესვე (მოქცეული ჰქონდა). ცნობა აქვს. **მე განადგურებული ვარ.** ვარ მხოლოდ-ღა **ტკივილი სულისა და ლოცვა.** ილოცე ჩვენ საყვარელ ლენასთვის. ილოცოს ლოლამ. ილოცოს პატარა ნინომაც. მდგომარეობას გაცნობებ ხოლმე.

მომწერე რამ, ვიტანჯები — მაგრამ **ღმერთია მოწყალე.**

შენი **გრიგოლ.**

P. S. ვაი ჩემს ყოფას! მაგრამ ჩემი ყოფა რაა ლენას ყოფასთან შედარებით. უფალო, ნუ მომაკლებ ძალას. იყავენ შემწე დატანჯული ლენასი.

ექიმების აზრი: არაა უიმედოო.

გ. რ.

V.

14.3.1950.

ძვირფასო და საყვარელო გიგო!

ვკითხულობ შენს ბარათს — ცრემლებს ვღვრი. ლენას დაეცა წვეთი სამი კვირის წინეთ. ცნობა დაჰკარგა — არა სავსებით! იმავე დღეს მივუტანე ჯვარი — მანიშნა თუ სად დამეკიდა. ენა ჩაუვარდა — ესეც არა სავსებით: შერჩა სიტყვა „НЕТ“. ამჟამად, ბურანიდან გამოვიდე — კიდევ გამოდის თანდათან. გაგების უნარი ემატება — შემჩნევისაც. ერთი კვირის წინეთ პალტოზე შემამჩნია დალვენთილი ლაქა—მანიშნა მომეცილებინა. სიტყვარიც უფრო და უფრო ვრცელდება. ამ დღეებში ფრაზების წარმოთქმაც დაიწყო — ხოლო ბოლომდე ვერ გაჰყავს. მაგალითად: „ო, კაკ ხოჩეტსია“, „ტი პომნიშ“, „ნე ეტო“, „ნე ზნაიუ“, „ვო პერვიხ“, „ვო ვტორიხ“, „პოდოჟდი“, „კაკ ეტო“ და სხვა. ვერ ათავებს ფრაზას — ამოოხრებს: „ოო გოსპოდი, ოო გოსპოდი! ოო ბოჟე, ოო ბოჟე!“ გუშინ ესეც წასცდა სიმწრით: „ოო ჩორტ ვოზმი!“ „ვერ გაჰყავს ფრაზა ბოლომდე და აუვარდება ტირილი, მე თავს ვიკავებ: მეც არ მღვარო ცრემლები. საერთოდ ძალიან მაგრად ვიჭერ თავს, რათა „მორალი“ არ გავუარესო. წართმეული აქვს მარჯვენა მხარე — სრულიად, დაეტყო ფეხს გამოცოცხლება ორი კვირის (თუ ადრე) წინეთ. ექიმმა მითხრა: მორჩენა საერთოდ ფეხიდან იწყებაო. პირველ დღეებში ასაზრდოებდნენ „შესხმით“. შემდეგ თვითონ დაიწყო ჭამა. მადა ძალოვანი აქვს. თვალები — ნათელი. გამოხედვა — მკაფიო. ძრაობა მარცხენა მხარის (თავისაც) — ღონიერი. აი, მოკლედ მდგომარეობა სატკივრისა. ილოცეთ — მისთვის: შენ, ლოლამ, პატარა ნინომ.

მე მწუხარეთა ვარ და ვედრება.

შენი **გრიგოლ.**

გურამ შარაძე.

(გაგრძელება იქნება)

სურათებზე: გრიგოლ დიასამიძე; გრიგოლ რობაქიძე; გრიგოლ რობაქიძის უცნობი წერილები გრიგოლ დიასამიძისადმი. (ავტოგრაფები).

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „კომუნისტი“ 1990, № 237-238, 243, 259; „საქართველოს რესპუბლიკა“, 1990, № 19, 1991, № 4.

თბილისი თოვლის საბურველში

გიფიქრიათ, თუ რატომ უხარიათ თოვლის მოსვლა ბავშვებს? მე მგონია, ყველაფერთან ერთად ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ თეთრი საბურველი ყველაფერს რომ აქათქათებს, სიმბოლურად მშვიდობისა და სიმშვიდის ილუზიას ქმნის. უფრო მეტი სიხარული გეუფლება, გინდა ამ მდგომარეობის გახანგრძლივება.

თოვლი ყველაფერს გარდაქმნის — ჩვეულებრივ ღობეებს, ქვები თუ ქანდაკებები თითქოს ცოცხლდებიან. მათი ყურება თვალს ახარებს. აბა, შეხედეთ ამ ძველებურ რკინის ღობეს: რამდენჯერ ჩაგივლიათ მის გვერდით, და მისი ხაზების სილამაზე ვერც კი შეგიმჩნევიათ. თოვლი კი მხატვარივით გიჩვენებს: აქეთ გამოიხედე, უფრო ფართოდ გაახილე თვალი, ხვალ ყველაფერი სხვაგვარად იქნებაო...

როცა თოვს, ძველ თბილისს, თითქოს, თავისი ჭაღარა უბრუნდება. ქალაქი უფრო ახლობელი ხდება ჩვენთვის და ყოველი ჩვენგანი აუცილებლად გაიხსენებს თავის პირველ თოვლიან ზამთარს. თოვლი ხომ არც ისე ხშირად მოდის ჩვენს ქალაქში, და ეს დრო ყოველთვის გახსომდება.

ბინდდება, კვლავ თოვს. მაშასადამე, ქალაქი ხვალაც თეთრ საბურველში იქნება.

პაატა არჩვაძე,
საქინფორმის კორ.
ავტორის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შიდა ქართლი

სეპარატისტთა პასუხად — ჭეშმარიტება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელთა საერთო კრებამ საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილების ერთსულოვანი მხარდაჭერით გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მისი ა. წ. 7 იანვრის ბრძანებულების გამო. ქართველ არქეოლოგთა დეპეშაში, ისევე როგორც საქართველოდან გაგზავნილ ყველა მიმართვაში, აქცენტირებულია ყურადღება იმ საშიშროებაზე, რომელსაც გამოიწვევდა პრეზიდენტის ბრძანებულება: მოთხოვნა ქართული მილიციის გაყვანის თაობაზე წააქეზებდა ოს ექსტრემისტებს, რამდენადაც მათი შეიარაღებული ბანდების დაშლაზე ბრძანებულებაში პირდაპირი მითითება არ არის. ამასთან, ბრძანებულება გამოქვეყნდა მაშინ, როდესაც საქართველოს მილიცია ენერგიულად შეუდგა ექსტრემისტებისათვის უკანონო იარაღის ჩამორთმევას (არსებითად — პრეზიდენტისავე ადრინდელი ბრძანებულების შესრულებას) და დაადგა ქართული მოსახლეობის დარბევასა და აწიოკებაში სისხლის სამართლის დამნაშავეთა კვალს. ოსმა ექსტრემისტებმაც ისარგებლეს პრეზიდენტის პირდაპირი თუ არაპირდაპირი წაქეზებით და ჩაიდინეს ახალი ვერაგული აქცია. ა. წ. 11 იანვარს (როდესაც, თითქოს, ვადა გაუვიდა პრეზიდენტის ულტიმატუმს) უახლესი სამხედრო ტექნიკით განხორციელებული ნამდვილი საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს საქართველოს მილიციის დანაყოფებს, რის შედეგადაც დაიღუპნენ ქართველი და ოსი ხალხის ინტერესებისა და მშვიდობის გუშაგად მდგარი ქართველი მილიციელები. ეს ოს ექსტრემისტთა აგრესიის მორიგი, ამჯერად უკვე შეიარაღებული სამხედრო დემარშია. დიახ, ნამდვილი აგრესია, რომლის პირველი აკორდი იყო საბჭოთა ხელისუფლების უკანონო პირმშო — ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება. ეს იყო აგრესიის ნამდვილი აქცია, რამდენადაც საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიაზე უცხოთა (ოსთა) სახელმწიფოს შექმნას და იქ მოსახლე მკვიდრი ქართული მოსახლეობის დამორჩილების უკანონო ცდას. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ანუ საქართველოს უძველესი ისტორიული პროვინციის — შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არასოდეს ყოფილა ოსთა რაიმე, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო თუ მცირე სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. ეს ტერიტორია, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ადამიანთა საზოგადოების ისტორიის სულ ადრინდელი ეტაპებიდან ქართული ეთნოსის განსახლების არეალსა და ქართული სახელმწიფოებრიობის ერთიან სისტემაშია მოქცეული. უკვე ბრინჯაოს ხანიდან, ე. ი. ძვ. წ. IV-III ათასწლეულიდან აქ ისეთივე კულტურაა გამოვლენილი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ოლქებში. პირველი ქართული სახელმწიფოს — ქართლის სამეფოს (იბერიის) შექმნისთანავე ისტორიული შიდა ქართლი მთლიანად ქართლის (იბერიის) მეფის უზენაესი ხელისუფლის — სპასპეტის საუფლოს წარმოადგენდა. შუა საუკუნეებში ქართული ფეოდალიზმის განვითარების შემდგომ ეტაპზე, ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი ქსნის საერისთაოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო სათავადოების წარმოქმნის შემდეგ ამ მიწა-წყალს ფლობდნენ ცალკეულ ქართველ ფეოდალთა გვარები — მაჩაბლები, ფალავანდიშვილები, ამილახვრები. XVII-XVIII საუკუნეებში ხდება ამ ტერიტორიაზე ოსთა გამოჩენა, მაგრამ რა სტატუსით და რა პირობით? ისინი ჩამოდიოდნენ როგორც **ხიზნები საკუთარ სამშობლოში (კავკასიონის ქედს გადაღმა — ნამდვილ ოსეთში) შექმნილი ძნელბედობისაგან ლტოლვილნი.** ქართველებმა შეიფარეს გაჭირვებაში მყოფი კავკასიელები. უამრავი საბუთი და დოკუმენტია იმის თაობაზე, თუ როგორ ეხვეწებიან საკუთარი სამშობლოდან ლტოლვილი ოსები ქართლის მეფეს და ფეოდალებს შეივრდომონ ისინი, და სამუდამო ერთგულებას ეფიცებიან. შეიფარეს ქართველებმა ოსი ხიზნები, როგორც ქართული სახელმწიფოს ქვეშევრდომნი. ასეთი სტატუსით ცხოვრობდნენ ისინი. ამ ხნის მანძილზე შიდა ქართლში, კიდევ უნდა გავიმეორო, არავითარი, სულ მცირეოდენი ოსური პოლიტიკური თუ ფეოდალური ერთეულიც კი არ შექმნილა, წვრილფეხა ოსი აზნაურიც კი არაა ცნობილი. მხოლოდ 1922 წელს, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკებისათვის გაწეული ულირსი და უზნეო სამსახურის სანაცვლოდ მიიღეს მათ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ახლა მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უკანონოდ დამკვიდრება განიზრახეს. მსოფლიო ისტორიამ იცის უცხო ტერიტორიაზე სახელმწიფოს შექმნის ერთი ძირითადი მოდელი — შეიარაღებული სამხედრო აგრესია. „ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ გამოცხადება სახელმწიფოს შექმნისა და აგრესიის ახალი „მოდელია“: უცხო ქვეყანაში ერთგულების ფიცით შემოსულ ხიზანთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის მოტყუებით შექმნა. თან მას ასევე საზოგადოებრივი აზრის მოტყუებით იდეოლოგიური გამართლებაც უნდათ მოუძებნონ: ზოგიერთი ვაი-მეცნიერი ისტორიული წყაროების აშკარა გაყალბებით ცდილობს დაამტკიცოს ისტორიული შიდა ქართლის ოდინდელი ოსურობა. ყალბ იდეოლოგიას ახლა იარაღიც და ქართველთა კვლაც მიაშველეს — აგრესიის უტყუარი საშუალება.

ოს ექსტრემისტთა უკვე შეიარაღებული აქციები, სრულიად საქართველოს წინააღმდეგ მიმართული, აშკარა და უცილობელი აგრესიაა. ქართველ ხალხს კი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთი ასეთი აგრესორი მოვლენია, მაგრამ საკადრისი პასუხი მიუღიათ. მაგრამ ახლა ყველა ოსმა უნდა შეიგნოს და თვითონვე განსაზღვროს სურს თუ არა მას, საერთაშორისო სამართლის კანონებიდან გამომდინარე, მსოფლიო საზოგადოების წინაშე წარსდგეს როგორც აგრესორი, ხოლო მათი მეცნიერები — ისტორიის ფალსიფიკატორები? აგრესიის მიმართ კი ცივილიზებული სამყაროს საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვანია და ეს ნათლად გამოჩნდა სპარსეთის ყურის პოლიტიკური კრიზისისას, ასევე ლიტვაში საბჭოთა არმიის მორიგი სისხლიანი აქციის მიმართ.

ქართველი მეცნიერები კი, მთელ მსოფლიოში აღიარებული ინტელექტუალური პოტენციალით, ადვილად შეძლებენ წერილობითი საისტორიო წყაროების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტურ-ტოპონიმიკური მონაცემების ობიექტური ანალიზის შედეგად ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელთა საერთო კრებაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს მოწოდების პასუხად, რომ გააქტიურდეს შიდა ქართლის ისტორიის საკითხებზე ნაშრომების გამოქვეყნება, გამოითქვა წინადადება, რომ შეიქმნას ისტორიკოსთა გაერთიანება „ისტორია და თანამედროვეობა“. ვიდრე ეს ორგანიზაციულად გაფორმდება, არქეოლოგიური კვლევის ცენტრში შეიქმნება სემინარი „არქეოლოგია და თანამედროვეობა“, რომლის მუშაობის შედეგებს წარვუდგენთ გამოსაქვეყნებლად ქართულ პრესას. იმედი მაქვს, რომ მას ამჯერად ისეთივე ბედი არ ეწევა, როგორც ჩემს „ღია წერილს აკადემიკოს ანდრია სახაროვისადმი“, რომლის გამოქვეყნებაზე ჯერ „ზარია ვოსტოკამ“ მითხრა უარი, შემდეგ კი „სახალხო განათლებამ“.

ოთარ ლორთქიფანიძე,
საქართველოს რესპუბლიკის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი

მადლობა მშობელ ხალხს

საქართველოში მილიციის თანამშრომლებს, რომლებიც ამ დღეებში შიდა ქართლში ვიხდით სამსახურებრივ და მამულიშვილურ ვალს, რწმენასა და ძალას გვმატებს ის მშობლიური ზრუნვა, მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, რასაც ჩვენი ხალხი იჩენს თავისი მილიციისადმი. ზამთრის ამ ცივ დღეებში გულსა და სულს გვითბობს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი ნობათები.

საქართველოს მილიციის მუშაკები დიდ მადლობას ვუხდით ყველას — ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას, საწარმოების, უწყებების, ორგანიზაციების შრომით კოლექტივებს, თითოეულ ადამიანს, ვინც ჩვენი სამშობლოსათვის ამ ძნელ დღეებში არ გვაკლებს ყურადღებას, მხარდაჭერასა და დახმარებას.

მშობელი ხალხის ამ დიდი ზრუნვის პასუხად მილიციის მუშაკები ძალასა და ენერგიას, სიცოცხლესაც კი არ დავიშურებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, რეგიონში წესრიგის აღდგენისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

შიდა ქართლში მყოფი საქართველოს მილიციის თანამშრომლები

(საქინფორმი)

თეატრი

კონკურსი

(1989-90 წლების სეზონი)

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამდივნომ დაამტკიცა ყოველწლიური კონკურსის ჟიურის დადგენილება და სეზონის საუკეთესო ნამუშევრებისათვის მიენიჭა პრემია. თითოეულს 400 მანეთის ოდენობით:

ზურაბ სამადაშვილს — დრამატურგს, პიესისათვის „კარს იქით“, განხორციელებულს ს. ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

ალექსანდრე ქანთარიას — რეჟისორს, ზ. სამადაშვილის „კარს იქით“ დადგმისათვის ს. ახმეტელის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

ლია სულუაშვილს — მსახიობს, მესხეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში „ღია შუშაბანდი“ დედის როლის შესრულებისათვის.

ნუგზარ ყურაშვილს — მსახიობს, თბილისის ს. ახმეტელის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში „კარს იქით“ გოგას როლის შესრულებისათვის.

ოთარ რეხვიაშვილს — მსახიობს, მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში „ღია შუშაბანდი“ დათიკოს როლის შესრულებისათვის.

ნინო ნიჟარაძეს — მხატვარს, ქუთაისის თოჯინების თეატრის სპექტაკლის „საით ილტვი კვიცო?! სცენოგრაფიისათვის.

ფიქრია ყუშიტაშვილს — ახალგაზრდა თეატრმცოდნეს — ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში“ (1990 წ. №2, №6) გამოქვეყნებული რეცენზიებისათვის „ცოდვილთა კუნძული“ და „ალსარება“.

ამასთანავე მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის პრემია მიენიჭათ **გალინა ხვიჩიას და ვაჟა ნიკოლაიშვილს.**

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა დაამტკიცა კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის გადაწყვეტილება და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია 1500 მანეთის ოდენობით მიენიჭა:

დავით ანდღულაძეს რეჟისორს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გ. რობაქიძის „გრაალის მცველის“ დადგმისათვის.

გიორგი ბურჯანაძეს, მსახიობს, კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „გრაალის მცველნი“ ორბელის როლის შესრულებისათვის.

რევაზ ჩხიკვიშვილს, მსახიობს, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „გრაალის მცველნი“ ველსკის როლის შესრულებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკა

მხოლოდ სახელშეცვლილი გაზეთი ნუ გეგონებათ, ძვირფასო მკითხველებო — სულ სხვაა მიზნები, ამოცანები, პერსპექტივები. ჩვენი გაზეთის თითოეული ჟურნალისტის შემართება ამჯერად ყველაზე მთავარითა და უმაღლესით — საქართველოს სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით არის დამუხტული.

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერის საშუალება ყოველი თვის 15 რიცხვამდე მოგეცემათ.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კომბინატში, ხოშტარიას ქ. № 29.

ინდექსი 66484.